190
1953/3



# პიონერი

7
ივლისი
1953

ვლადიმერ მაიაკოვსკი

# ჩვენი პარტია

**ნაწყვეტი პოემიდან „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“.**

ჩვენი პარტია
ერთიანი
ურაგანია,
მტკიცედ შეკრული,
თავის რიგებს
კვლავ რომ ამაგრებს;
ის ისე ჰგლეჯს და
ანადგურებს
მტრის სიმაგრეებს,
როგორც ქვემეხთა
ურაგანი
ყურის ბარაბნებს.

ეული კაცი
ქვეყნად არის
ყელგამოჭრილი,
მარტოხელობა
ჭამაშიაც
შესაბრალია,
ყველა ძლიერი
მარტოხელას
დაიმორჩილებს,
სუსტებიც სძლევენ,
თუ სუსტები
ერთად არიან.

მაგრამ თუ მტკიცედ
შეკავშირდნენ
ერთეულები,
მოჰკვდი მტარვალო!
წყეულ იყოს
შენი გაჩენა;
პარტია არის
მტკიცე მკლავი
მილიონების,
მუშტად შეკრული,
დამლეწავი
მკლავი მარჯვენა.

პარტია არის
მილიონთა
მხარი მრავალი
ერთურთს მიჯრილი,
როგორც უყვართ
ჩვენში მეომრებს.
პარტია —
ქვეყნის მშენებლობა
ცად აღმავალი,
ერთურთთან ძმობა,
რომ ამაღლებს
ერთიმეორეს.

მუშათა კლასის ხერხემალი
არის პარტია,
ის ჩვენი საქმის
ზეიმად სწამს
ასიათასებს.
არ მიღალატებს,
არც არასდროს
უღალატნია;
სამეფოებს
ბედს განვაგებ
ქვეყნის ქარტაზე.

კლასის გონება,
კლასის საქმე,
რაც გვინატრია,
კლასის დიდება,
კლასის ძალა —
აი, პარტია.

ტყუპნი არიან
პარტია და
დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორივ იგი
ერთგვარად ჰშვენის:
ვიტყვით — ლენინი,
პარტია გვაქვს
წარმოდგენილი,
ვიტყვით — პარტია
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს.

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა


# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 7
ივლისი, 1953 წ.
წელიწადი XXVII




ვლადიმერ მაიაკოვსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 60 წელი ვ.ვ. მაიაკოვსკის დაბადებიდან

# საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი

ვლადიმერ მაიაკოვსკი ჩვენი სოციალისტური კულტურის სიამაყეა, მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელი და მისი უპირველესი კლასიკოსი. მის შემოქმედებაში ღრმად და მრავალფეროვნად გამოიხატა კაცობრიობის ისტორიის უდიდესი მოვლენა — ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის სწორუპოვარი ეპოპეა, საბჭოთა ხალხის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყარო.

ამასთანავე ვ. მაიაკოვსკი იყო პოეზიის დიდი ნოვატორი და განმაახლებელი. განაგრძო და განავითარა რა რუსული კლასიკური პოეზიის კორიფეების — პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის უკვდავი შემოქმედებითი ტრადიციები, მან საფუძველი ჩაუყარა ახალს, სოციალისტური ეპოქის პოეტურ კულტურას, ჩვენი ხალხის მებრძოლ და ვაჟკაცურ სულისკვეთებასთან, მის გაქანებასა და ტემპერამენტთან თანხმოვან პოეტურ მეტყველებას. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას, არც ერთ ხალხს მეოცე საუკუნეში არ წარმოუშვია პოეტი, რომელიც შეედრებოდეს ვ. მაიაკოვსკის არა მარტო შემოქმედების იდეური სიღრმისა და აქტუალობის მხრივ, არამედ პოეტური ხმის ძალით, ნოვატორობის, ორიგინალობის, ლექსის ოსტატობის თვალსაზრისით. უაღრესად ნაციონალურმა რუსმა პოეტმა, მან ღრმად კეთილმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხის საბჭოთა პოეზიის განვითარებაზე, თანამედროვე მსოფლიოში ცნობილი ყველა მოწინავე, რევოლუციურად განწყობილი პოეტის შემოქმედებაზე.

* * *

ვლადიმერ მაიაკოვსკი დაიბადა 1893 წლის 19 ივლისს საქართველოში, ქ. ქუთაისის მახლობლად მდებარე სოფელ ბაღდადში (ახლანდელი სარაიონო ცენტრი — მაიაკოვსკი), სადაც პოეტის მამა სატყეო უბნის უფროსად მსახურობდა. ბავშვობის წლები მომავალმა პოეტმა ამ სოფლის წარმტაცი ბუნების წიაღში, აქაური მშრომელი გლეხობის გარემოცვაში გაატარა. მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში პოეტმა შეინარჩუნა სიყვარულისა და მადლიერების გრძნობა თავისი მშობელი კუთხისადმი. ერთ-ერთ ლექსში პოეტმა წრფელი სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ვერ მოასწრო ღირსეულად წარმოესახა თავის პოეზიაში „ბაღდადის ზეცა“, ე. ი. ის ბუნება და ყოფა-ცხოვრება, რომლის გარემოცვაშიც მისმა ბავშვობის წლებმა განვლო. საქართველო პოეტს თავის მეორე სამშობლოდ მიაჩნდა. 1924 წელს დაწერილ ლექსში „ვლადიკავკაზი — თბილისი“ პოეტი ამბობდა:

„დიახ,
ქართველი ვარ,
        ახალი ნაციის,
არც დავიწყებულის მხარისა,
მე,
შემავალი ვარ
        ერთ ფედერაციის —
საბჭოთა
        დიდ მთა და ბარისა“.

პოეტის ცნობიერებაში წარუშლელად ცოცხლობდა საქართველოსაგან, მისი ხალხისა და ბუნებისაგან ბავშვობისა და სიჭაბუკის წლებში მიღებული დიდი შთაბეჭდილებანი.

1902 წელს 9 წლის მაიაკოვსკი მშობლებმა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს. მისი მოწაფეობის პირველი წლები რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებისა და ამ დიადი სახალხო მოძრაობის გაჩაღების პერიოდს დაემთხვა. ვ. მაიაკოვსკი მოწამე გახდა იმ გმირული ბრძოლისა, რომელსაც ქართველი მშრომელი ხალხი ეწეოდა 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე. ახალგაზრდა სტალინის მეთაურობით საქართველოში და კერძოდ ქ. ქუთაისში გაჩაღებულმა ამ ბრძოლამ უდიდესი გავლენა მოახდინა რევოლუციის მომავალი მომღერლის შეგნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ცნობილია, რომ გიმნაზიელი მაიაკოვსკი ხშირად ესწრებოდა ლადო მესხიშვილის თეატრის რევოლუციურ სპექტაკლებს, მონაწილეობდა მოწაფეთა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, მეგობრობდა რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებთან. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ვ. მაიაკოვსკის ახსოვდა 1905 წლის პერიოდში საქართველოში გავრცელებული რევოლუციური ლექსები და სიმღერები. განსაკუთრებული სიყვარულით იგი ზეპირად წარმოთქვამდა და მღეროდა ხოლმე ი. ევდოშვილის ლექსს „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“ და ცნობილ ხალხურ სიმღერას არსენა ჯორჯიაშვილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პოეტს არ დავიწყნია ქართული ენა.

1906 წელს პოეტის მამის, ვლადიმერ კონსტანტინეს-ძის უეცარი გარდაცვალების გამო მაიაკოვსკის ოჯახი მოსკოვს გადასახლდა. რევოლუციური განწყობილებებით შთაგონებული ჭაბუკი დაუახლოვდა არალეგალურ პარტიულ წრეებს და მალე მოსკოვის კომუნისტური ორგანიზაციის პროპაგანდისტი გახდა. 15 — 16 წლის მაიაკოვსკი პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრად იქნა არჩეული. 1908 — 1909 წლების განმავლობაში იგი ზედიზედ სამჯერ იქნა დაპატიმრებული არალეგალური რევოლუციური მუშაობისათვის. 1909 წელს მოსკოვში ბუტირკის ციხეში პატიმრობის დროს დასწერა მან თავისი პირველი ლექსი. ამრიგად, თვითმპყრობელობისა და მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისათვის პატიმრობის ვითარებაში დაიწყო რევოლუციის უდიდესი პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება.

ციხიდან გამოსვლისთანავე ვ. მაიაკოვსკიმ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე რევოლუციური ხელოვნების მშენებლობისათვის შეეწირა და მართლაც სულ რამდენიმე წლის განმავლობაში მან ყველაზე რევოლუციური პოეტის ადგილი დაიკავა ოქტომბრის წინა პერიოდის რუსეთში.

ახალგაზრდა პოეტი ეძებდა მოკავშირეებსა და თანამებრძოლებს ახალი, რევოლუციური ხელოვნებისათვის ბრძოლაში. ასეთებად მან შეცდომით მიიჩნია ახალგაზრდა რუსი ფუტურისტები, რომლებიც დიდი რიხით და აურზაურით გამოდიოდნენ მაშინ სამწერლო ასპარეზზე და თავს ახალი ხელოვნების ქურუმებად, მომავლის მომღერლებად აცხადებდნენ, თუმცა არსებითად მათი ლიტერატურული საქმიანობა რეაქციული, ბურჟუაზიულ-დეკადენტური ხელოვნების თავისებურ ნაირსახეობას შეადგენდა. მაიაკოვსკი მიეკედლა ფუტურისტების ჯგუფს და რამდენიმე წლის განმავლობაში მონაწილეობდა მათს გამოცემებში, ხელს აწერდა მათს მანიფესტებს, გამოდიოდა მათს საღამოებზე. ამ ჯგუფთან ხანმოკლე კავშირი ახალგაზრდა პოეტის შეცდომა იყო და ამ შეცდომამ იქონია კიდეც ერთგვარი უარყოფითი გავლენა მაიაკოვსკის ადრინდელს შემოქმედებითს ცხოვრებაზე. მაგრამ პოეტისათვის მალე ნათელი გახდა ფუტურიზმის ნამდვილი ბუნება, მან გადაჭრით დაგმო და უარყო ეს რეაქციული ლიტერატურული მიმდინარეობა. ახალგაზრდა პოეტის იდეურ ზრდაზე დიდი გავლენა მოახდინა სოციალისტური ლიტერატურის გენიალურმა ფუძემდებელმა მ. გორკიმ, რომელსაც მაიაკოვსკი 1914 — 1915 წლებში გაეცნო და დაუმეგობრდა. დიდი პროლეტარული მწერალი აღტაცებაში მოიყვანა ახალგაზრდა პოეტის იშვიათმა ნიჭიერებამ, მისი პოეტური ხმის ღრმად თავისებურმა ძალამ, მისი პოეზიის მეამბოხე ხასიათმა. აქ არავითარი ფუტურიზმი არ არის, არის მხოლოდ დიდი პოეტი მაიაკოვსკი — ამბობდა მ. გორკი, როდესაც ახალგაზრდა პოეტის ლექსები და მისი პოემა „შარვლიანი ღრუბელი“ მოისმინა. მაიაკოვსკის ადრინდელ შემოქმედებას ასევე მაღალი შეფასება მისცა დიდმა რუსმა რეალისტმა მხატვარმა ი. რეპინმა.

მომაკვდინებელი ზიზღით დასცინოდა და გმობდა ვ. მაიაკოვსკი თავის ადრინდელ ლექსებსა და პოემებში ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრებას. მთელ რიგ ლექსებში და პოემაში „ომი და მშვიდობა“ მან დაუზოგავად ამხილა პირველი იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთა სისხლიანი ზრახვები და გამოხატა გულისწყრომა ხალხთა ამ საშინელი სასაკლაოს ორგანიზატორების მიმართ. პოეტმა გასაოცარი წინათგრძნობით უმღერა მოახლოებულ რევოლუციას და თავისი თავი ამ რევოლუციის მოციქულად აღიარა. თებერვლის რევოლუციის პერიოდში ვ. მაიაკოვსკი მგზნებარედ ჰკიცხავდა დროებით გაბატონებულ ანტიხალხურ, ბურჟუაზიულ ხელისუფლებას (ლექსი „პასუხი მოვთხოვოთ“ და სხვ.) და ცხოვლად ეხმაურებოდა ლენინ—სტალინის პარტიის ბრძოლას სოციალისტური რევოლუციისათვის.

პოეტი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. ბუნებრივია, რომ მის წინაშე არც კი დასმულა საკითხი იმის შესახებ გაჰყოლოდა თუ არა რევოლუციას. „ჩემი რევოლუცია!“ — გაიძახოდა პოეტი.

სამოქალაქო ომის წლებში მაიაკოვსკი გასაოცარი შემოქმედებითი ენერგიით უმღერის საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას თეთრი კონტრრევოლუციისა და საერთაშორისო რეაქციის ძალთა ინტერვენციის წინააღმდეგ. ამ წლებში ვ. მაიაკოვსკიმ „რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოში“ დახატა ათასობით შესანიშნავი რევოლუციური შინაარსის პლაკატი და დასწერა რამოდენიმე ათასი გარითმული ლოზუნგი და მოწოდება. ამ პერიოდის მისი პოეზიის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „მეზღვაურების მარცხენა მარში“, რომელშიც იშვიათი პოეტური ძალით პოეტმა გამოხატა საბჭოთა ხალხის ურყევი ნებისყოფა და რწმენა რევოლუციის საქმის გამარჯვებისა რეაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის ბნელ ძალებზე. ამ ლექსს იმეორებდა და მღეროდა ხალხი მიტინგებზე, კრებებზე და ბარიკადებზე სამოქალაქო ომის მგზნებარე დღეებში.

ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა და საერთაშორისო რეაქციის სამყაროსთან ორთა ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს აუცილებელი გამარჯვების რწმენა განასახიერა პოეტმა ფართო პლანის ნაწარმოებებში „მისტერია ბუფ“ და „150.000.000“. ეს ნაწარმოებები მოასწავებდნენ დრამატიული და ეპიური ჟანრების აღმოცენება-განვითარებას საბჭოთა პოეზიაში. საბჭოთა პოეტური სატირის პირველ კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენდა მაიაკოვსკის ცნობილი ლექსი „სხდომებს გადაყოლილნი“, რომელშიც პოეტმა მკაცრად დასცინა ბიუროკრატიზმის ნაშთებს საბჭოთა სახელმწიფო აპარატში. ამ ლექსს მაღალი შეფასება მისცა უკვდავმა ლენინმა.

სამოქალაქო ომის ქარცეცხლიდან საბჭოთა ხალხის ძლევამოსილად გამოსვლისთანავე ვ. მაიაკოვსკის პოეზიის ძირითად თემად იქცა ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, ჩვენი სამშობლოს სამეურნეო-კულტურული ძლიერების განმტკიცებისათვის გაჩაღებული შემოქმედებითი შრომა.

1924 წელს ვ. მაიაკოვსკიმ დასწერა თავისი საუკეთესო ნაწარმოები — პოემა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“, რომელიც საბჭოთა პოეზიის უებრო შედევრს, ჩვენი საუკუნის მსოფლიო პოეზიის უდიდეს ქმნილებას წარმოადგენს. არც ამ პოემის დაწერამდე და არც მის შემდეგ არავის დაუხატავს ახალი კაცობრიობის უდიდესი გენიოსის ლენინის ასეთი მონუმენტური პოეტური სახე, არავის აუსახავს ასე ღრმად და მძლავრად ლენინის დიადი ცხოვრებისა და ბრძოლის ეპოპეა. ეს პოემა გენიალური გამოხატულებაა საბჭოთა ხალხის და მთელი მშრომელი კაცობრიობის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულებისა უკვდავი ლენინისადმი, სოციალიზმის უძლეველი საქმისადმი, ლენინ-სტალინის გმირული პარტიისადმი.

არავის და არასოდეს მხატვრულ ლიტერატურაში ასე ღრმად და შთაგონებულად არ განუსახიერებია კომუნისტური პარტიის ძალა და სიდიადე.

პოემა, რომელშიც უდიდესი სიმძაფრით არის ასახული საბჭოთა ხალხის საყოველთაო გლოვა და მწუხარება მშობლიური ლენინის გარდაცვალების გამო, მთავრდება ლენინ — სტალინის დიადი საქმისათვის საბრძოლველად დამრაზმველი და აღმაფრთოვანებელი, ნათელი ოპტიმიზმით გამსჭვალული სტრიქონებით.

ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებისა და მთელი საბჭოთა პოეზიის ასეთსავე მწვერვალს წარმოადგენს აგრეთვე პოემა „კარგია“, რომელიც პოეტმა ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავზე დაწერა. ამ შესანიშნავ პოეტურ ქმნილებაში ასახულია ჩვენს სამშობლოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ახალი ცხოვრების მშენებლობის დიდებული ეპოპეა.

„ვინც ამ ქვეყანას
ჰგვის, აშენებს,
მე მათ შევხარი, —
ვინც დაუცხრომლად
შრომობს, იბრძვის,
აქვს მტკიცე ნება:
ვაქებ სამშობლოს,
რომელიც დღეს
ჩვენს თვალწინ არის,
მაგრამ სამწილად
მას ვუმღერი, —
რაც ხვალ იქნება“.

საბჭოთა პატრიოტიზმის უმაღლეს პოეტურ გამოხატულებას წარმოადგენს „ლექსი საბჭოთა პასპორტზე“. ამ ლექსში პოეტმა დახატა დიადი, ღრმად ტიპიური სახე საბჭოთა პატრიოტისა, რომელსაც კარგად ესმის თავისი სოციალისტური სამშობლოს ძალა, ღირსება და უპირატესობა. იგი ამაყად დგას მთელი კაცობრიობის წინაშე, მტკიცედ აღმართულ უძლეველ ხელში საბჭოთა პასპორტი უჭირავს და აღფრთოვანებით მიმართავს ყოველი დროის და ყოველი ქვეყნის ადამიანებს:

„წაიკითხეთ და
შურით აღივსეთ: —
საბჭოთა ქვეყნის
ვარ მოქალაქე“.

ვ. მაიაკოვსკის პოეზიაში მრავალმხრივად და შთაგონებულად არის გამოხატული საბჭოთა ადამიანის კანონიერი სიამაყე ჩვენი დიადი სამშობლოთი, ჩვენი ხალხის მგზნებარე გულისწყრომა მტრული, რეაქციული სამყაროსადმი. პოეტი ხშირად მოგზაურობდა უცხოეთში. მან შემოიარა თითქმის მთელი მსოფლიო და ამ მოგზაურობათა შედეგად მრავალი ლექსი დაწერა უცხოეთის თემებზე. ამ ლექსებში, რომლებიც გამსჭვალულია კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ხალხისადმი ღრმა თანაგრძნობით და ძმური სოლიდარობის აზრით, პოეტმა დახატა იმპერიალისტური რეაქციის სამყაროში მძვინვარე მონობისა და ჩაგვრის, ხალხის ტანჯვა-წამების შემზარავი სურათები.

განსაკუთრებული სიმძაფრით და მღელვარე სიძულვილით ამხილებდა პოეტი ამერიკელ კაპიტალისტთა რეაქციული წრეების ველურ, არაადა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიანურ ბუნებას. პოეტი იმპერიალისტურ ამერიკას ახასიათებდა, როგორც საერთაშორისო კაპიტალისტური მონობისა და ტირანიის უკანასკნელ ციხე-სიმაგრეს და მომაკვდინებელი ირონიით ამბობდა:

„ამ ამერიკას
დავხურავდი,
გავწმენდდი ფრთხილად
და შემდეგ ისევ
მეორეჯერ
აღმოვაჩენდი“.

სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში ვ. მაიაკოვსკი მუშაობდა ახალ პოემაზე დიადი სტალინური ხუთწლედების შესახებ, რომელშიც განზრახული ჰქონდა აესახა ჩვენს სამშობლოში სოციალიზმის მშენებლობის ის უდიდესი წარმატებანი, რაც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიისა და ხალხთა გენიალური ბელადის ამხანაგი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით. პოეტს არ დასცალდა ამ შესანიშნავი შთანაფიქრის განხორციელება. მან მოასწრო მხოლოდ განზრახული პოემის შესავალის დაწერა, რომლის სათაურიცაა „მთელი ხმით“. ეს ნაწარმოები გვიჩვენებს, რომ მაიაკოვსკის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება სწორედ მაშინ შეწყდა, როდესაც პოეტმა თავისი განუზომელი შემოქმედებითი ძალებისა და ნიჭიერების სრულ სიმწიფეს მიაღწია. ამ ლექსში, რომელიც პოეტის მიერ განვლილი მთელი შემოქმედებითი გზის ღრმად გააზრებულ ერთგვარ პოეტურ შეჯამებას წარმოადგენს, მაიაკოვსკიმ კიდევ ერთხელ დაუვიწყარის ძალით უმღერა ლენინ — სტალინის დიად პარტიას, შეადარა რა მთელი თავისი შემოქმედება პარტიულ ბილეთს, უწოდა რა თავის ყოველ წიგნს პარტიული წიგნი:

„როგორც პარტბილეთს
ბოლშევიკურს
მე მაღლა ავწევ —
ჩემს ას ტომეულს
პარტიული წიგნაკებისა“.

სოციალისტური რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ხმა ცოფს გვრიდა რეაქციის ძალებს. სოციალიზმის, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერების მტრები გააფთრებით ებრძოდნენ ვ. მაიაკოვსკის მისი შემოქმედებითი ცხოვრების მთელს გზაზე. პოეტის წინააღმდეგ გესლიან ცილისწამებათა შეთხზვაში, მისი დევნისა და შეურაცხყოფის ბნელ საქმეში განსაკუთრებით დახელოვნდნენ ჩვენი სამშობლოს საზიზღარი მტრები — ტროცკისტულ-ბუხარინული კონტრრევოლუციის ლიტერატურული აგენტები. ვერაგულად შენიღბული ეს გარეწარი მჯღაბნელები არ ერიდებოდნენ არავითარ ლიტერატურულ ხულიგნობას იმისათვის, რომ გაეტეხათ პოეტის სულიერი ძალა და მხნეობა, ჩაეხშოთ მისი მძლავრი პოეტური ხმა. ჩვენი ხალხის ამ საძულველი მტრების ხანგრძლივმა, სისტემატურმა მტრულმა მოქმედებამ დაუკარგა პოეტს სულიერი წონასწორობა და სიმშვიდე, გატეხა მისი ნებისყოფა და შეამზადა ის საბედისწერო გასროლა, რომლითაც 1930 წლის 14 აპრილს ვ. მაიაკოვსკიმ ყველასათვის მოულოდნელად წერტილი დაუსვა საკუთარ სიცოცხლეს.

მაგრამ, ცხადია, ბნელეთის ეს უზადრუკი მოციქულები უძლური აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ მოეკლათ ვ. მაიაკოვსკის პოეზიის შემოქმედებითი ძალა. მისი დიადი პოეტური მემკვიდრეობა უკვდავად ცოცხლობს ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ცნობიერებაში.

„მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერეს პოეტად“ — დიდი სტალინის ამ ბრძნულ სიტყვებში უღრმესი სიმართლით არის გამოხატული საბჭოთა ხალხის აზრი სოციალისტური რევოლუციის უკვდავ პოეტზე.

**ბესარიონ ჟღენტი**



სახლი ბაღდადში (ახლანდელი მაიაკოვსკი) სადაც დაიბადა პოეტი.

# შენი ხმა და შენი ცეცხლი

ვლ. მაიაკოვსკის

რა ვქნა, გულს არ ავიწყდება
სკოლა, გზა და ქვაფენილი,
ის ბავშვობის კარგი წლები
ზარის ხმებში გაფრენილი...

ჩემი თხელი წინსაფარი
მკერდზე ფრთხილად მისაფარი
და ჯიუტი ნაწნავები
ონავართა ნაწვალები.

ისევ შევალ ღია კლასში,
ჩამოვჯდები მერხის ქიმზე,
ჩემს საყვარელ წიგნებს გავშლი
და პოეტი ისევ მიმზერ.

დილის ნიავს შემოჰყვება
ამღერება ცელქი მერცხლის,
შენი კუშტი შემოხედვა
შენი ხმა და შენი ცეცხლი.

ეს რა ხმები აგუგუნდა,
შენეული ვიცან მარში,
თუ ბავშვობა დამიბრუნდა
და ლექსს ვამბობ ციცქნა ბავში!

ცეცხლო ისევ წამეკიდე
სიამაყის განცდით ვიწვი,
რადგან მაღლა ერთხელ კიდევ
ჩემს საბჭოთა პასპორტს ვიწვდი.

დე სცენიდან მთელ სამყაროს
გასწვდეს ჩემი დაძახილი.
მერე ტოლებს მივეფარო
კვლავ მორცხვი და თავდახრილი...

ამოვარდეს ტაშის ქარი,
ხელი წამკრან კლასელებმა,
და თან გამყვეს სანუკვარი
სანუკვარი გახსენება:

გაზაფხული, მწკრივი ხეთა,
ამღერება ცელქი მერცხლის,
შენი კუშტი შემოხედვა,
შენი ხმა და შენი ცეცხლი!..

ნაზი კილასონია



ვ. მაიაკოვსკი
ქანდაკება გ. კორძახიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მამია ასათიანი

ნახ. ალ. ბანძელაძისა

# ბ ე რ დ ა ნ ა

*

ჩვენი დროის უდიდესი პოეტი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკი დაიბადა და იზრდებოდა საქართველოში. მომავალმა პოეტმა მოწაფეობის წლები ქალაქ ქუთაისში გაატარა. ეს იყო 1905 წლის რევოლუციისა და შავ-ბნელი რეაქციის პერიოდი. მწერალმა მამია ასათიანმა დაწერა მოთხრობა „მაიაკოვსკის ყრმობა“. ვბეჭდავთ ნაწყვეტს აღნიშნული მოთხრობიდან.

*

უჩვეულოდ შეშფოთებულიყო ქუთაისი იმ დილით. ცენტრალურ ქუჩებში, რამდენიმე ადგილას, ბარიკადები გაემართათ მუშებს. დაჰქროდნენ ცხენოსანი კაზაკები.

გიმნაზიიდან მომავალმა ვალოდიამ სწორედ იმ დროს მოაღწია თეატრთან, როცა თმააბურდული ლადო მესხიშვილი ქუჩაში ბერდანით ხელში იდგა, მის ირგვლივ კი ახალგაზრდა მსახიობები და სცენის მუშები ირეოდნენ. მთელი თეატრი აფორიაქებულიყო: გამოჰქონდათ დეკორაციები და ქუჩის გარდიგარდმო აწყობდნენ, რიონიდან ტომრებით მოჰქონდათ სილა, საიდანღაც კასრებს და ათასგვარ ძველმანს მოათრევდნენ.

ლადო მესხიშვილი ვალოდიას ნახული ჰყავდა სცენაზე, იგი თავის დასთან ერთად დაესწრო «კაი გრაკხის» წარმოდგენას, რომელშიც მთავარ როლს ლადო ასრულებდა. თეატრის დარბაზს გრიალი გაჰქონდა იმ ღამეს. ახალგაზრდებს ძლიერ უყვარდათ ნიჭიერი მსახიობი. ახლა, როცა იგი ჭაღარა ლომივით იდგა ბარიკადაზე და ირგვლივ ხალხი ეხვია, ვალოდია მიხვდა, — აქ რაღაც სერიოზული ხდებოდა.

ვალოდია თვალებგაფართოებული მიაჩერდა ბარიკადებს. ბაღის კუთხიდან ცხენოსანი პლასტუნების ათეული იყურებოდა; ისინი ნიშანს ელოდნენ რათა იერიში მიეტანათ და ხიშტებზე აეგოთ მსახიობები.

ქუჩის თავში გამოჩნდა ცხენზე მჯდომი კაზაკი ოფიცერი; ჩაუქროლა პლასტუნებს, რაღაც გადასძახა მათ და მოსახვევში თვალს მიეფარა.

ვიღაც მოხუცი მანდილოსანი ვალოდიას მივარდა:

— ვერ წახვალ, შვილო, სახლში?! შეიძლება სროლა ატყდეს, მერე?!

ვალოდიამ აღგზნებული თვალებით შეხედა ქალს. ბულვარზე ხალხი შექუჩებულიყო. ვიღაც ყმაწვილმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მსახიობებს როგორ ესვრიან ტყვიას!

ქალი ამ პასუხმა გააკაპასა:

— მსახიობებს კი არა, საკუთარ შვილებს ესვრიან, ვის დაზოგავენ, განა არ იცნობთ მაგათ?

ეს სიტყვები ბარიკადაზეც გაიგონეს, მაგრამ არ შეშფოთებულან. ულამაზესი ჭარმაგი კაცი ქანდაკებასავით იდგა ბარიკადაზე, წარბიც არ შესტოკებია.

უცებ, ყველას მოულოდნელად, ბარიკადებიდან გადმოშვერილი თოფების შიშით, თუ რაღაც სხვა გაურკვეველი მიზეზის გამო, პლასტუნები მიბრუნდნენ და საჩქაროდ გაჰქუსლეს უკან.

არავინ ელოდა ამას. ყველამ შვებით ამოისუნთქა. ლადო მესხიშვილი კი რომელიღაც მსახიობის თოფზე უჩვენებდა ხალხს და სიცილით ამბობდა:

— განა ეს თოფია?! აბა იარაღი ჩვენ ვინ მოგვცა, თორემ სხვაგვარად იქნებოდა საქმე... ამით ერთი გასროლაც არ შეიძლება, ბუტაფორული თოფია...

ამასობაში ვალოდიამ დაინახა როგორ მიუახლოვდა მესხიშვილს ჩაბალახწაკრული კაცი. «იმერეთსამეგრელოს კომიტეტის სახელით»... — წარმოსთქვა უცნობმა. სხვა ვერაფერი გაიგონა ვალოდიამ, ეს კი მტკიცედ ჩარჩა ხსოვნაში.

* * *

ვალოდიას იმ ღამეს არ დაეძინა, თეატრის წინ აღმართული ბარიკადები და ლადო მესხიშვილი ელანდებოდა. ერთ წუთს მილულა თვალი და სიზმარმა გამოაღვიძა. თვალი რომ გაახილა, კედლის საათს შეხედა. ისარი თორმეტს უჩვენებდა. კედელზე საათის გვერდით მამის ბერდანა ეკიდა.

თითქოს უბიძგესო, ისე წამოჯდა ლოგინზე. მეორე ოთახში დედას და დას სინათლე უკვე ჩაექროთ.

«სძინავთ», გაიფიქრა მან. იგი ფრთხილად წამოდგა და ჩაიცვა, ბერდანა ჩამოხსნა კედლიდან და კარები გამოაღო. გრილმა ნიავმა უცებ გამოაფხიზლა:

«თოფიანს ყაზახები რომ შემხვდნენ ქუჩაში, ხომ დამიჭერენ», — გაუელვა მას და ისევ ოთახში შებრუნდა.

«რა ვქნა ახლა? — ჩაფიქრდა ვალოდია, თოფები მათ სიცოცხლესავით სჭირდებათ... დღეს ხომ მე თვითონ ვნახე, უიარაღონი იდგნენ ბარიკადებზე».

იქვე კარს უკან ახალი ცოცხი იყო მიყუდებული. უცებ უცნაურმა აზრმა გაუელვა. განჯინიდან წვრილი თოკი და მახათი გამოიღო, ცოცხს ხელი დასტაცა და დაშალა. ათიოდე წუთის შემდეგ ცოცხის ბოლოში თოფის ლულა ისე გაჩხირა, რომ კონდახი დაშლილი ნაწილისაკენ მოაქცია. ხელმეორედ შეკრა. ნახელავი ვერ იყო მთლად კარგი, მაგრამ მის ჩანაფიქრს ნამდვილად ახორციელებდა. თოფის კონდახი და ჩახმახი არ ჩანდა, რადგან ცოცხის ღეროები ფარავდა გარედან, ლულა კი ცოცხის ტარს ჰგავდა.

«ახლა რომ შემხვდნენ, ტარდაგებული ცოცხი ეგონებათ, ვიტყვი: მეეზოვეს შვილი ვარ-მეთქი», — ფიქრობდა სახეგაბრწყინებული ვალოდია. ჩუმად გამოაღო კარი და ჩუმადვე მიხურა.

მხარზე ცოცხგადებული, მამის თექაში გამოხვეული ვალოდია, მართლაც მეეზოვეს შვილივით მიაბიჯებდა თეთრი ხიდისაკენ. მას ახლა აღარ ეშინოდა სამხედრო პატრულისა.

სოციალ-დემოკრატების კლუბი ხიდგაღმა იყო. ვალოდიაც თოფის მიტანას სწორედ იქ ფიქრობდა. ქუჩის ერთ კუთხეში ყაზახების ჯგუფი შენიშნა. იმ წუთშივე ცოცხი მხარიდან გადმოიღო და თითქოს მეეზოვე ყოფილიყო ისე დაუწყო დაგვა დუქნის წინ ქუჩას. „თუ მკითხეს, ვეტყვი: მამა ავად არის და დღეს მე გამომგზავნა მის მაგივრად-მეთქი“, — ფიქრობდა ვალოდია.

ყაზახების ოცეულმა ჩუმად ჩაუარა მას. როგორც კი ხიდზე ფეხი შედგეს, ვალოდიამ იმ წამსვე გაიდო ცოცხი მხარზე და კლუბისაკენ გაექანა. იგი სწორედ მაშინ მივიდა კლუბთან, როცა ორი კაცი იქიდან გამოვიდა და კლუბის დაკეტვა დააპირა. ვალოდია აქოშინებული მივარდა ერთ მათგანს:

— არ დაკეტო, ძია. არ დაკეტო, საქმე მაქვს თქვენთან!

შავთვალწარბა კაცმა, თავი ჩაბალახით რომ ჰქონდა წაკრული, გაკვირვებით შეათვალიერა უცნობი ყმაწვილი და ჰკითხა:

— რა გინდა, ბიჭიკო, ვინ გამოგგზავნა?!

ვალოდიამ ამაყად ასწია თავი და ხმა დაიბოხა:

— მე თვითონ მოვედი, თოფი მოვიტანე.

მეორე კაცი, რომელიც ამდენ ხანს მდუმარედ უცქერდა მას, ახლა წინ წამოიწია:

— რა მოიტანე, ბიჭიკო?

— თოფი მოვიტანე, მამაჩემის თოფი, ტყუილად იყო სახლში, თქვენ კი ბარიკადებზე დაგჭირდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვალოდიამ ამაყად ასწია თავი და ხმა დაიბოხა:—მე თვითონ მოვედი, თოფი მოვიტანე.

პირველმა მათგანმა ისევ გამოაღო კლუბის კარი, სანთელი აანთო და ვალოდიას წინ დადგა.

— აბა, სად არის შენი თოფი, ვაჟკაცო!

ვალოდიამ სწრაფად დაუწყო ცოცხს გახსნა. ორივე დამხვდური კიდევ უფრო განცვიფრებით შეაცქერდა მას.

— დანა არ გაქვს, ბიძია? — შეეკითხა ვალოდია, — თოკებს დავჭრი, მაგარი თოკია, გაწყვეტა ძნელია.

შავგვრემანმა კაცმა ჯიბის დანა ამოიღო და თოკები დაჭრა. ცოცხის წვრილი ღერები აქეთ-იქით მიმოიბნა და დამხვდურებმა ბერდანის ელვარე ლულა დაინახეს.

ჩაბალახიანმა კაცმა ტოლივით დაჰკრა ხელი ვალოდიას:

— რა გვარი ხარ, მეგობარო?

— მაიაკოვსკი, ვლადიმერ ვლადიმერის-ძე.

ჩაბალახიანი ნელა დაიხარა, შუბლზე აკოცა ვალოდიას და ჩაილაპარაკა:

— კაცი გამოხვალ, ძმაო, ნამდვილი კაცი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



არკადი გაიდარი

ნახ. კ. მახარაძისა

# კვამლი ტყეში*

უკვე დიდი ხანია ჩავიდა მზე. ღრუბლებს შორის ვეება მთვარე ანათებდა. ჩემი გზა კი სახიფათო და ძნელი იყო. ახლა მე იქით კი არ მივდიოდი, საითაც საჭირო იყო, არამედ სადაც გზა უფრო ადვილად სავალი მხვდებოდა.

უხმოდ, მოთმინებით მომდევდა ბრუტიკი. ცრემლები დიდი ხანია შემაშრა. ხმა ყვირილისა და ძახილისაგან ჩამეხლიჩა. შუბლი გამიოფლიანდა. ქუდი დავკარგე. ლოყის გარდიგარდმო კი სისხლიანი ნაკაწრი მაჩნდა.

ბოლოს, განაწამები, შევჩერდი და ქვიშიან ბორცვზე ხმელ ბალახზე დავეშვი.

ასე უძრავად ვიწექი მანამდე, ვიდრე არ ვიგრძენი, რომ ბრუტიკი, რომელსაც უკვე სული მოეთქვა, დაჟინებით მჩრიდა ცხვირს მუცელში და თათებით მოუთმენლად მკაწრავდა. ალბათ მას ჩემი ჯიბიდან საუზმის სუნი ეცა და საჭმელს მთხოვდა. მოვუტეხე ფუნთუშის ნაჭერი, მივეცი კატლეტის ნახევარი, დანარჩენი მე თვითონ უხალისოდ დავღეჭე, შემდეგ თბილ ქვიშაში ორმო ამოვთხარე, ცოტა ხმელი ბალახი დავგლიჯე, ამოვიღე ჩემი კალის ბრაუნინგი, ბრუტიკი ჩავიხუტე და დავწექი, გადავწყვიტე არ დამეძინა, ასე მეცადა გათენებისთვის.

ხეებს შორის, მთვარის უთანაბრო, მაცდურ შუქზე, მეჩვენებოდა ხან მგლის მწვანე თვალები, ხან დათვის ბანჯგვლიანი დრუნჩი. მეგონა, რომ ყველგან, ფიჭვის ვეება ხეებს აკრულნი, მიმალულიყვნენ უცხო და ბოროტი ადამიანები. გადიოდა წუთები — ქრებოდა ერთი შიში, მაგრამ ყოველი მხრიდან ჩნდებოდა სხვა. და ეს შიში იმდენად ბევრი იყო, რომ კისერი მომეღრიცა. ბოლოს, დაქანცული, პირაღმა დავწექი და მხოლოდ ცას დავუწყე ყურება.

რომ არ დამძინებოდა, ამღვრეული თვალების ხამხამით დავიწყე ვარსკვლავების თვლა. დავითვალე სამოცდასამი, ამებნა, გადავაფურთხე და თვალყურის დევნება დავუწყე ერთ შავ, მორის მსგავს ღრუბელს, რომელიც ცდილობდა დაწეოდა მეორეს და პირდაპირ ფართოდ დაღებულ, ეშვებიან ხახაში ჩაერტყა. მაგრამ აქ ჩაერია მესამე — გამხდარი, გრძელი ღრუბელი — რომელმაც აიღო და თავისი მრუდე თათით მთვარის ნათელი ფარანი დაფარა.

ჩამობნელდა, ხოლო როდესაც განათდა, არც ღრუბელიმორი და არც ეშვებიანი ღრუბელი აღარ ჩანდა, და ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე წყნარად მიცურავდა დიდი თვითმფრინავი.

მისი ფართოდ გაღებული ფანჯრები გაკაშკაშებული იყო. მაგიდასთან თავის ნახაზებს უჯდა დედაჩემი, ყვავილებიანი ვაზა განზე გაეწია, ხანგამოშვებით საათს დასცქეროდა და უკვირდა რომ მე ასე დიდხანს არ ვჩანდი.

მაშინ იმის შიშით, რომ თვითმფრინავს გვერდი არ აევლო მინდვრისათვის, სადაც მე ვიწექი, ვიძრე კალის ბრაუნინგი და გავისროლე. ბოლი მოეფინა მთელ მინდორს და ცხვირპირში მეცა. გასროლის გამოძახილმა თვითმფრინავის ფართო ფრთებამდე რომ მიაღწია, ორჯერ დაიჟღარუნა, როგორც დაიჟღარუნებს ხოლმე რკინის სახურავი მძიმე ქვის დარტყმისაგან.

ფეხზე წამოვხტი.

უკვე თენდებოდა. ჩემი კალის ბრაუნინგი ქვიშაზე ეგდო. იქვე იჯდა ბრუტიკი და უკმაყოფილოდ ატრიალებდა ცხვირს, იმიტომ რომ შეცვლილმა ქარმა ღამის განმავლობაში მინდორზე მხუთავი ბოლის ნაკადი მორეკა. ყური მივუგდე: სადღაც წინ, მარჯვნივ, ჟღარუნობდა რკინა. მაშასადა-

* დასასრული, იხ. ჟურნ. „პიონერი" № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ჩემი სიზმარი მთლად სიზმარი არ ყოფილა. მაშასადამე, წინ ადამიანები იყვნენ და მეც საშიში არაფერი მქონდა.

ხევში, სადაც ნაკადული მოწანწკარებდა, წყალი დავლიე. წყალი მთლად თბილი იყო, თითქმის ცხელი, კუპრისა და მურის სუნი ასდიოდა. უეჭველია ნაკადულის სათავე სადღაც ხანძრის არეში იმყოფებოდა.

ხევს იქით იწყებოდა დაბალი, ფოთლოვანი ტყე, საიდანაც ყველა სულიერი გაქცეულიყო, როგორც კი ბოლის სუნი სცემოდა. მხოლოდ ქიანქველები, როგორც ყოველთვის, წყნარად ფუსფუსებდნენ თავიანთი ფხვიერი ნაგებობების ახლოს, და ნაცრისფერი ბაყაყები, რომლებიც მშრალზე სულერთია შორს ვერ წავიდოდნენ, გულის გამაწყალებლად ყიყინებდნენ მწვანე ჭაობში.

ჭაობს შემოვუარე და ტევრში მოვხვდი. და უცებ მთლად ახლოს სამჯერ გავიგონე რკინაზე რკინის დარტყმის მკვეთრი ხმა, თითქოსდა ვინმე თუნუქის ვედროს ფსკერს ჩაქუჩს ურტყამდა.

ფრთხილად წავიწიე წინ. ჩავუარე კენწეროგადატეხილ ხეებს, რომლებიც გადაჭრილებს გავდნენ, გავცდი შტოებსა და როკებს, რითაც უხვად იყო მოფენილი მიწა, და პაწაწინა მინდორზე გავედი. აქ როგორღაც გვერდზე აყუდებულიყო თვითმფრინავი, ცხვირი მაღლა აეწია და ფრთა გადალუნულ ვერხვზე გაედო. თვითმფრინავის ქვეშ იჯდა კაცი. ფოლადის ქანჩგასაღებით იგი თანაბრად ურტყამდა მოტორის ლითონის გარსაცმზე.

ეს კაცი იყო ფენიას მამა — მფრინავი ფედოსეევი.

ტოტების მტვრევით გავაღწიე მისკენ და დავუძახე. მან გადააგდო ქანჩგასაღები. მთელი ტანით შემობრუნდა ჩემსკენ (ადგომა, როგორც ჩანს, არ შეეძლო), ყურადღებით შემათვალიერა და გაკვირვებით მკითხა:

— ჰეი, საკვირველო მოჩვენებავ! საიდან მოევლინე ჩემ სულს?

— ეს თქვენა ხართ? — არ ვიცოდი როგორ დამეწყო, ისე შევეკითხე მე.

— დიახ, ეს მე ვარ. ეს კი... — და თითი აყირავებულ თვითმფრინავს დაადო, — ეს ცხენია ჩემი. მომეცი ასანთი. ხალხი ახლოსაა?

— ასანთი არა მაქვს, ვასილ სემიონოვიჩ, და არც არავითარი ხალხია...

— როგორ თუ არაა? ო, დასწყევლოს ეშმაკმა! — მას სახე მტკივნეულად მოეღრიცა, იმიტომ რომ ადგილიდან დასძრა ჩვარში გახვეული ფეხი. — ხალხი სადღაა?

— ხალხი არაა, ვასილ სემიონოვიჩ. მარტო მე ვარ, და აი... ჩემი ძაღლი.

— მარტო შენ? ჰმ... ძაღლი? შენც რა ძაღლი გყავს?! მაშ ერთი მიბრძანე, რას აკეთებ აქ მარტო? შემწვარ სოკოებს ჰკრეფ, ნაცარს, თუ ნახშირს?

— არაფერს არ ვკრეფ, ვასილ სემიონოვიჩ. მოვრბივარ... უცებ მესმის — ჟღარუნებს რაღაც. მე თვითონ მეგონა, რომ აქ ხალხი იყო. ეს თურმე თქვენ ყოფილხართ. თქვენ კი სულ გეძებენ, გეძებენ...

— მაშ, ხალხი... მე მაშასადამე „ხალხი" არა ვარ. რატომ გაქვს ლოყა გასისხლიანებული? აილე შუშა, იოდი წაისვი და რაც შეგიძლია მოჰკურცხლე აეროდრომისაკენ. უთხარი იქ, რაც შეიძლება ალერსიანად, რომ სწრაფად გამოგზავნონ ჩემთან მაშველი. ისინი ღმერთმა იცის სად მეძებენ, მე კი აქვე, სულ ახლოსა ვარ. ჩუ, გესმის? — მან მოყნოსა მოტკბო-მხუთავი ჰაერი, რომელიც ქარმა მოჰბერა.

— ეს მესმის, ვასილ სემიონოვიჩ, ოღონდ არსაით არ ვიცი გზა. მე, ხედავთ, თვითონაც გზა დამებნა.

— ერიჰაა! — დასტვინა მფრინავმა ფედოსეევმა. — მაშ, როგორც ვხედავ, ჩვენი საქმეები ცუდადაა, ამხანაგო. შენ ღმერთი გწამს?

— რას ამბობთ, — გავოცდი მე. — თქვენ, ვასილ სემიონოვიჩ, ალბათ ვერ მიცანით? მე ხომ ვალოდკა ვარ. თქვენს ეზოში ვცხოვრობ, ასოცდამეოთხე ბინაში.

— მაშ ასე, ვალოდკა: არც შენ გწამს, არც მე, მაშასადამე სასწაულების იმედი ნუ გვექნება. აბა, აღი იმ ხეზე, რაც იქიდან დაინახო, მითხარი.

ხუთ წუთში მე უკვე კენწეროზე მოვექეცი. მაგრამ სამი მხრიდან ვხედავდი მხოლოდ ტყეს... მეოთხე მხრიდან კი, ჩვენგან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, ტყიდან კვამლის ღრუბელი ამოდიოდა და ნელ-ნელა მოიწევდა ჩვენს მხარეს.

ქარი იყო ცვალებადი და ყოველ წუთს შეეძლო მთელი ძალით დაექროლა.

ხიდან ჩამოვედი და ყველაფერი ვუამბე მფრინავ ფედოსეევს. მან ცას ახედა: ცაზე ღრუბლები ირეოდა.

მფრინავი ფედოსეევი ჩაფიქრდა:

— მისმინე, — მითხრა მან, — შენ რუკაში ერკვევი?

— ვერკვევი, — მივუგე მე,—მოსკოვი, ლენინგრადი, მინსკი, კიევი, თბილისი...

— ეხ, რა მასშტაბი აიღე! ბარემლა დაგეწყო ევროპა, ამერიკა, აფრიკა, აზია. მე შენ გეკითხები: რუკაზე რომ გზა დაგიხაზო, შეგიძლია გაერკვე?

მე დავიბენი.

— არ ვიცი, ვასილ სემიონოვიჩ. ეს გეოგრაფიაში გავიარეთ, მაგრამ მე რაღაც ცუდად...

— ეხ, ჭკუის კოლოფო! საქმეც მაგაშია, რომ „ცუდად"... მაშ კარგი, თუ ცუდად, მაშინ უმჯობესია თავი დავანებოთ. აი, უყურე, — მან ხელი გაიშვირა, — აბა, ცოტა იქით წადი. შებრუნდი სახით მზისკენ. ახლა შებრუნდი ისე, რომ მზე პირდაპირ მარცხენა თვალის კიდეზე გეცემოდეს. ეს იქნება შენი მიმართულება. მოდი, დაჯექი.

მივედი და დავჯექი.

— აბა, მითხარი რა გაიგე?

— რომ მზე მარცხენა თვალის კიდეში მიელვარებდეს, — ყოყმანით დავიწყე მე.

— კი არ გიელვარებდეს, არამედ გეცემოდეს. ელვარებისაგან თვალები შეიძლება დაგიბრმავდეს. დაიმახსოვრე: რაც უნდა მოგივიდეს თავში, არ იფიქრო ამ მიმართულებიდან გადახვევა, ირბინე სულ პირდაპირ მანამდე, ვიდრე შვიდირვა კილომეტრის შემდეგ მდინარე კალვის ნაპირს არ მიადგები. ის იქაა და სხვაგან ვერსად წავა. კალვაზე კი, მეოთხე ფლატესთან, ყოველთვის ხალხია: მეთევზეები, მეტივეები, მთიბავები, მონადირეები... ვისაც პირველად ნახავ, იმას ეცი. რა უნდა უთხრა...

აქ ფედოსეევმა შეხედა დამტვრეულ თვითმფრინავს, თავის უმოძრაო, ჩვრებში გახვეულ ფეხს, მხუთავი ჰაერი შეიყნოსა და თავი გადააქან-გადმოაქანა:

— ხოლო იმათ რაც უნდა უთხრა... მე მგონი შენ თვითონაც იცი.

მე წამოვხტი.

— მოიცა! — თქვა ფედოსეევმა. გარეთა ჯიბიდან საფულე ამოიღო და გამომიწოდა: — თან წაიღებ.

— რატომ? — ვერ მივხვდი მე.

— აიღე, — გაიმეორა მან: — მე შეიძლება ავად გავხდე, დამეკარგება. როცა შევხვდებით, მაშინ მომცემ. მე თუ არა, ჩემ ცოლს, ან ჩვენს კომისარს გადასცემ.

ეს მე სრულებით არ მომეწონა, ვიგრძენი, რომ თვალებზე ცრემლები მომაწვა და ტუჩები ამიკანკალდა.

მაგრამ მფრინავი ფედოსეევი შემომცქეროდა მკაცრად და ამიტომ ურჩობა ვერ გავბედე, საფულე უბეში ჩავიდე, ქამარი მაგრად მოვიჭირე და ბრუტიკს დავუსტვინე.

— მოიცა! — ისევ შემაჩერა ფედოსეევმა. — თუ შენ ჩემზე ადრე ნახავ რომელიმე შინსახკომელს, ან ჩვენს კომისარს, უთხარი, რომ ხანძრის რაიონში ოცდამეოთხე უბანზე გუშინწინ, ცხრამეტ საათსა და ოცდაათ წუთზე, მე ვნახე სამი კაცი. ვიფიქრე მონადირეებია-მეთქი. როცა სიმაღლეს ვუკელი, თვითმფრინავს შაშხანები დაუშინეს; ერთმა ტყვიამ ბენზინის ავზი გამიხვრიტა. დანარჩენი ყველაფერი გასაგები იქნება. ახლა კი, ვაჟკაცო, აბა, გასწი.

* * *

მძიმე საქმეა — ადამიანის გადასარჩენად ირბინო უცხო, პირქუშ ტყეში, შორეულ მდინარე კალვასკენ, როცა არც გზაა, არც ბილიკი, და გზას არჩევ მხოლოდ მზის მიხედვით, რომელიც განუწყვეტლივ მარცხენა თვალის კიდეზე უნდა გეცემოდეს.

ხშირად გზაზე მიხდებოდა გაუვალი ტევრების, ციცაბო ხრამების, ნესტიანი ქაობების შემოვლა. ფედოსეევს რომ მკაცრად არ გავეფრთხილებინე, უკვე რამდენჯერმე მოვასწრებდი დაბნევას, რადგან მეჩვენებოდა ხოლმე, რომ მართალია მზე მზეა, მაგრამ მე უკვე უკამ გავრბივარ, პირდაპირ წუხანდელი ღამისთევის ადგილზე.

ასე შეუპოვრად მივიწევდი წინ, იშვიათად შევჩერდებოდი, შევიმშრალებდი გაოფლიანებულ შუბლს და ხელს გადავუსვამდი სულელ ბრუტიკს, რომელიც უთუოდ შიშისაგან მომდევდა ფეხდაფეხ; გრძელი ენა გამოეყო და მოწყენით შემომყურებდა მიუხვედრელი თვალებით.

ერთი საათის შემდეგ მძაფრმა ქარმა დაჰბერა. ნაცრისფერმა ბურუსმა მოიცვა ცა. ცოტა ხანს კიდევ მოჩანდა მზე ბუნდოვან, მიმქრალ ლაქასავით, შემდეგ ეს ლაქაც გაქრა.

მე მივიწევდი სწრაფად და ფრთხილად. მაგრამ მალე ვიგრძენი, რომ უგზოუკვლოდ ხეტიალს ვიწყებდი.

ცამ პირი შეიკრა, მოქურუხდა, და არამც თუ მარცხენა, არამედ ორივე თვალითაც ველარ ვარჩევდი მასზე სულ მცირე სინათლესაც კი.

კიდევ ორიოდე საათი გავიდა. მზე არ ჩანდა, კალვა არ ჩანდა, ძალა აღარ მქონდა, შიშიც კი გაქრა, ვგრძნობდი მხოლოდ ძლიერ წყურვილსა და დაღლას, და ბოლოს თხმელის ძირას ჩრდილში დავვარდი.

„ესეც შენი სიცოცხლე! — თვალებდახუჭული ვფიქრობდი მე. — ცხოვრობ და ელი, მოგეცემა შემთხვევა... მაშინ მე... მე... რა მე? იქ დამტვრეული თვითმფრინავია. იქით ცეცხლი მიიწევს. იქ დაჭრილი მფრინავი დახმარებას ელის... მე კი კუნძივით ვგდივარ ბალახზე და არაფრით ძალმიძს დავეხმარო მას“.

ჩიტუნას წკრიალა ხმა გაისმა სადღაც სულ ახლოს. მე შევკრთი. კაკ-კუკ! კაკ-კუკ! — მოისმის ზევიდან. თვალი გავახილე და ჩემს ზემოთ, მსხვილ კოპიტზე კოდალა დავინახე.

და მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ეს ტყე უკვე აღარ იყო ულრანი და უსიერი. მინდორზე დაფრინავდნენ ყვითელი და ლურჯი პეპლები, ბრწყინავდნენ ჭიაფები და გაბმით ჭრიჭინებდნენ კუტკალიები.

წამოდგომა ვერ მოვასწარი, რომ ხრალივით სველი ბრუტიკი პირდაპირ მუცელზე მეცა, შეხტა და ათრთოლდა; აქეთ-იქით მიმოიფანტა წმინდა, ცივი შხეფები, — ბრუტიკს სადღაც ებანავნა. წამოვხტი, ბუჩქებში შევვარდი და მხიარულად შევყვირე: ჩემგან სულ ორმოციოდე ნაბიჯზე მოაგორებდა თავის რუხ ტალღებს ფართო მდინარე კალვა.

ნაპირთან მივედი და მიმოვიხედე. არც მარცხნივ, არც წყალზე და არც ნაპირზე არავინ იყო. არ იყო საცხოვრებელი, არ ჩანდნენ ადამიანები, არ იყვნენ არც მეთევზეები, არც მთიბავები, არც მეტივეები და არც მონადირეები. უეჭველია, მე ძლიერ მკვეთრად გადავუხვიე განზე იმ მეოთხე ფლატედან, რომელზედაც უნდა გავსულიყავ მფრინავ ფედოსეევის მითითებით. მაგრამ მოპირდაპირე ნაპირზე, ტყის პირას, აქედან თითქმის კილომეტრის მოშორებით, კვამლი მოჩანდა, და იქ პატარა კარავის ახლოს ფორანში შებმული ცხენი იდგა.

ცივმა ჟრუანტელმა დამიარა მთელ ტანში. ხელებსა და კისერზე ბუსუსები დამაყარა, მხრები ციებიანივით ამიკანკალდა, რადგანაც მივხვდი, — კალვა უნდა გამეცურა. მე კი ცუდად ვცურავდი. მართალია შემეძლო გადამეცურა გუბურა, რომელიც ჩვენს დაბაში იყო, — აგურის ფარდულებს უკან; ამაზე მეტიც, მე შემეძლო იგი გადამეცურა და უკანაც ცურვით დავბრუნებულიყავ, მაგრამ ეს იმიტომ,



რომ ყველაზე ღრმა ადგილზეც კი წყალი მხოლოდ ნიკაპამდე მწვდებოდა.

ვიდექი და ვდუმდი. წყლის ზედაპირზე მიცურავდნენ ნაფოტები, ტოტები, ნედლი ბალახის ნაგლეჯები და აბურცული ქაფის ნაფლეთები.

მე ვიცოდი, რომ რადგან საჭიროა, მე გადავცურავ კალვას — ის არც ისე ფართოა, რომ ძალა გამომელიოს, სული შემეხუთოს. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ საკმარისია ერთი წუთით დავიბნე, სიღრმის შემეშინდეს, ერთი ყლუპი გადამცდეს, და ფსკერისკენ წავალ, ისე როგორც ერთი წლის წინ დამემართა სრულიად ვიწრო მდინარე ლუგარკაზე.

ნაპირთან მივედი, ჯიბიდან მძიმე კალის ბრაუნინგი ამოვიღე, ხელში შევატრიალე და წყალში გადავისროლე.

ბრაუნინგი სათამაშო იყო, მე კი ახლა თამაშისთვის არ მცხელოდა. ერთხელ კიდევ გავხედე მოპირდაპირე ნაპირს, პეშვით ცივი წყალი ამოვიღე, გულის დასამშვიდებლად გადავყლაპე, რამდენჯერმე ღრმად ამოვისუნთქე და წყალში შევაბიჯე. ძალა რომ ტყუილად არ დამეხარჯა, დამრეც ქვიშიან ფსკერზე მივდიოდი მანამდე, ვიდრე წყალი ნიკაპამდე არ მომწვდა.

ველური ყმუილი გაისმა ჩემს ზურგსუკან. ეს ბრუტიკი ხტოდა ნაპირზე გადარეულივით.

მე იგი თითით მოვიხმე, ჩავახველე, გადავაფურთხე, ფეხის დარტყმით ტანს ბიძგი მივეცი და გავცურე, თან ვცდილობდი, წყალი ნაკლებად მეშხეფებინა.

ახლა, როცა თავი დაბლა, წყლის ზედაპირზე მქონდა, მოპირდაპირე ნაპირი ძლიერ შორეული მეჩვენა და, რომ არ შევშინებულიყავ, თვალები ძირს დავხარე.

ასე, ფრთხილად, თანდათანობით მივიწევდი წინ, თან საკუთარ თავს ვარწმუნებდი, არ ავღელვებულიყავ და, რაც მთავარია, არ ავჩქარებულიყავ.

აი, უკვე წყალიც გაცივდა, ნაპირზე მდგარი ბუჩქები მარჯვნივ გაიქცნენ, ეს — დინებამ წამიღო. მაგრამ მე ეს გათვალისწინებული მქონდა და ამიტომ არ შევშინებულვარ. დაე წამიღოს. ჩემი საქმე სიმშვიდეა, ერთი, ორი... წინ და წინ... ნაპირი თანდათან ახლოვდებოდა. უკვე მოჩანდა ლინლით დაფარული ვერხვის ვერცხლისფერი ფოთლები და

წყალი სწრაფად მიმაქანებდა ქვიშიანი ნაპირისაკენ, სადაც მდინარე უხვევდა. ამაში ჯერჯერობით ცუდი არაფერი იყო.

უცებ ჩემს უკან ხმები მომესმა. მინდოდა მობრუნება, მაგრამ ვერ გავბედე.

შემდეგ ჩემს ზურგსუკან გაისმა შხაპუნი და მალე დავინახე, რომ გვერდიდან მიახლოვდება ბრუტიკი; თავი მაღლა აუწევია, გამძაფრებით აჭყაპუნებს წყალს თათებით, — ჩანს უკანასკნელი ძალა ელევა.

„აბა, აბა! ფრთხილად, ძმაო! — შეშფოთებით გავიფიქრე მე. — ჩემთან ნუ მოძვრები, თორემ ორივენი, ჩავიძირებით“.



ერთხელ კიდევ გავხედე მოპირდაპირე ნაპირს... და წყალში შევაბიჯე.

მე განზე გავიწიე, მაგრამ დინებამ უკან მიბიძგა, წყეულმა ბრუტიკმა ისარგებლა ამით და პირდაპირ კისერზე ამომაბლოტდა, თან ბრჭყალებით საშინლად დამკაწრა.

„ახლა კი დავიღუპე! — გავიფიქრე წყალში ჩაყურყუმელავებულმა, — ახლა საქმე გათავებულია!“

ფრუტუნითა და ფურთხებით ამოვიყურყუმელავე ზედაპირზე, ხელები მოვიქნიე და იმავე წუთს ვიგრძენი, რომ ბრუტიკი სასოწარკვეთილი წკმუტუნით თავზე მაცოცდებოდა.

მაშინ უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და ბრუტიკი გადავაგდე, მაგრამ ამ დროს ცხვირ-პირში ტალღა მეცა. გავიგუდე, უაზროდ გავიქნიე ხელები და ჩემს მიერ დატოვებული ნაპირიდან ისევ მომესმა ხმები, ხმაური და ყეფა.

ისევ დამეჯახა ტალღა, პირალმა გადამატრიალა, და უკანასკნელი, რაც მახსოვს, ეს იყო ღრუბლებს შორის გამომკრთალი მზის სხივი. ვიღაცის საშინელი დრუნჩი და ფართოდ დაღებული ღოჯებიანი ხახა, რომელიც მკერდზე მეცა.

როგორც მერე გავიგე, ორი საათის შემდეგ მას უკან, რაც მე მფრინავ ფედოსეევს დავცილდი, ლიუტა ჩემს ნაკვალევს დასდგომოდა და მფრინავთან ხალხი მიეყვანა. და უწინარეს ყოვლისა, ვიდრე თავისთვის რაიმეს თხოვდა, მფრინავს მათთვის მოღრუბლულ ცაზე მიეთითებინა და ებრძანებინა დამწეოდნენ.

იმავე საღამოს, მეორე ძაღლი — სახელად ვეტერა — ტყეში სამ შეიარაღებულ ადამიანს დასწეოდა — იმათ, ვინც საზღვარი გადმოლახეს, რათა დაეწვათ ტყეები და მასთან ერთად ჩვენი ახალი დიდი ქარხანა.

ერთი მათგანი სროლის დროს მოეკლათ, ორი დანარჩენი კი შეეპყროთ. მაგრამ იმათაც — ვიცოდით — არ შეიბრალებდნენ.

* * *

შინ ვიყავი, ლოგინში ვიწექი.

საბნის ქვეშ თბილოდა. ჩვეულებრივ ტიკტიკებდა მაღვიძარა საათი. სამზარეულოში ონკანიდან წყალი შხაპუნებდა.

ეს — დედა იბანდა პირს. აი, იგი შემოვიდა და საბანი გადამაძრო.

— ადექი, ტრაბახავ! — მეუბნებოდა ის, თან მოთმინებით ივარცხნიდა თავის ხშირ, შავ თმას. — მე გუშინ თქვენთან კრებაზე შემოვიარე და კარებიდან მესმოდა, თავს როგორ გახვედი: „მე წამოვხტი“, „მე მივდივარ“, „მე გავიწიე“... ბავშვები კი, სულელები, ყურებჩამოყრილები სხედან. მართალი ჰგონიათ.

მაგრამ მე არ აღვშფოთებულვარ:

— დიახ, — სიამაყით ვთქვი მე, — აბა სცადე და ტანგაუხდელად გასცურე კალვა.

— კარგი „გაცურვაა“, როდესაც წყლიდან ძაღლმა ლიუტამ პერანგით ამოგათრია! სჯობს გაჩუმდე, გმირო. მე ფედოსეევს ვკითხე. „მოირბინაო, მითხრა, თქვენმა ვალოდკამ ჩემთან გაფითრებულმა, აკანკალებულმა... გეოგრაფიაში „ორი“ მყავსო. ძლივძლივობით დავიყოლიე მდინარე კალვისკენ გაქცეულიყოო“.

— სიცრუეა! — სახეზე ალმური მომედო, წამოვხტი და მრისხანედ შევხედე დედას თვალებში.

მაგრამ ვხედავ, რომ ის უბრალოდ იცინის, რომ თვალის უპეებში ჯერ კიდევ არ გაჰქრობია მოღუშული არშია. მაშასადამე, სულ ცოტა ხნის წინ მწარედ ტიროდა ჩემზე. ოღონდ არ უნდა ამაში გამოტყდეს. ასეთია, სულ ჩემი ხასიათი აქვს.

იგი თმებს მიჩეჩავს და მეუბნება:

— ადექი, ვალოდკა, ფეხსაცმელებზე გაიქეცი. მე აქამდე ვერ მოვასწარი მოტანა.

ის იღებს თავის ნახაზებს, საფარგლეს, სახაზავებს და მიდის ჩათვლისათვის მოსამზადებლად.

მე ფეხსაცმელების მოსატანად მივრბივარ, მაგრამ ჩემს დანახვაზე აივნიდან თავგანწირვით კივის ფენია.

— მოდი! — მიყვირის ის. — მოდი ჩქარა, მამა გეძახის.

„კეთილი, — გავიფიქრე მე, — ფეხსაცმელებზე წასვლას მოვასწრებ“.

ზევით ავედი.

ფენია გამოექანა, მტაცა ხელი და მამამისთან ოთახში შემიყვანა. მას ფეხი აქვს ნაღრძობი და ლოგინში წევს შებანდული. მის ახლოს მაგიდაზე წამლების გვერდით დევს პაწია გალესილი დანა და ფოლადის სადგისი. ის რაღაცას აკეთებდა. იგი მომესალმა და შემდეგ მკითხა, თუ როგორ მივრბოდი, როგორ დავიბენი და ისევ როგორ ვიპოვე მდინარე კალვა. შემდეგ სასთუმალქვეშ ხელი შეყო და გამომიწოდა საათის მსგავსი, ბრჭყვიალა, მონიკელებული კომპასი.

— აიღე, — მითხრა მან, — ისწავლე რუკის გარკვევა. ეს ჩემგან სახსოვრად გქონდეს...

მე ავიღე. სახურავზე ზუსტადაა აღნიშნული წელი, თვე და რიცხვი. სწორედ ის რიცხვი, როდესაც მე მფრინავ ფედოსეევს ტყეში, თვითმფრინავთან შევხვდი. ქვემოთ წარწერაა: „ვლადიმერ კურნაკოვს — მფრინავ ფედოსეევისაგან“.

უხმოდ ვდგავარ. დაიღუპნენ! საბოლოოდ დაიღუპნენ ჩვენი ეზოს ყველა ბიჭები. ნუღარ ელიან ჩემგან შებრალებას!

მფრინავს ხელი ჩამოვართვი და ფენიასთან გამოვედი. ჩვენ ფანჯარასთან ვდგავართ, ის რაღაცას ბუტბუტებს, ბუტბუტებს, მე კი არ მესმის.

ბოლოს მან სახელო მომქაჩა და მითხრა:

— ყველაფერი კარგადაა, ოღონდ მენანება საცოდავი: იგი დაიხრჩო, — ბრუტიკი.

დიახ, ბრუტიკი მეც მენანება. მაგრამ რას იზამ: თუ ომია, ომი იყოს.

— ჩვენ რომ მაშინ პირში კანფეტი არ ჩაგვეჩარა, ის არ გვეღალატნებოდა, — მოწყენით თქვა ფენიამ.

— ვინ იცის, — ვანუგეშე მე, — შესაძლებელია მაშინ მოსულიყვნენ ისინი, ვინც ძაღლებს იჭერენ ხოლმე, კავი მოედოთ, ჩაესვათ ყუთში, შემდეგ კი ტყავი გაეძროთ. ეგეც შენი მეორენაირი სიკვდილი. და განა ეს უმჯობესია?

ფანჯრიდან ვხედავთ ტყეს. ცეცხლი ჩამქრალია და მხოლოდ აქა-იქ მოჩანს კვამლი. მაგრამ იქაც ამთავრებენ თავიანთ საქმეს უკანასკნელი ბრიგადები.

ფანჯრიდან მოჩანს ჩვენი ვეება ქარხანა, — ის, სადაც მუშაობს თითქმის მთელი ჩვენი ახალი დაბა.

ქარხნის ახლოს ორ რიგადაა გაჭიმული მავთულხლართი. კუთხეებში კი, ხის ფარებქვეშ დღე და ღამ დგანან გუშაგები.

მე და ფენიას აქედანაც კი გვესმის ჯაჭვების ჩხარა-ჩხური, რკინის ჩხარუნი, მოტორების გუგუნი და ორთქლის ჩაქუჩის მძიმე დარტყმების ხმა. ამ ქარხანაში რას აკეთებენ ჩვენ არ ვიცით. და კიდეც რომ ვიცოდეთ, არავის ვეტყვით, გარდა ერთის — ამხანაგ ვოროშილოვისა.

თარგმნა ბ. შელიამ

1939 წ.



## მოდის მშვიდობის პური

მინდვრებისაკენ, ბიჭებო,
გვიხმობს დოვლათი ქვეყნის!
თვალუწვდენელი ყანები
ზღვას ჰგავს ტალღებად შეყრილს.
ცაც დაუხატავს ოქროსფრად
დიდი მინდვრების ღიმილს
და გამრჯე კაცის თვალები
სიხარულითა ღვივის.
დაიძრნენ კომბაინები,
მოქუხს სიცოცხლის წყარო,
პურო, ბარაქა მოგეცეს,
ქვეყნად გამრავლდი, კალოვ!
მიწაცა მღერის კაცივით,
აბა მიუგდე ყური—
მოდის სამშობლოს სიმდიდრე,
მოდის პირველი პური.
ჩვენს გაკაჟებულ მკლავებსაც
დაღლა ვერ გაეკაროს,
ჩვენც მივაშუროთ მინდორ-ველს,
კომბაინსა და კალოს.
ოქროსფერ ყანის ლივლივი
შორს ზეცის ტატნობს ეკვრის...
მინდვრებისაკენ, ბიჭებო,
გვიხმობს სიმდიდრე ქვეყნის!

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## მტკვრის სანაპიროზე

რა ნათელი დილა არის,
რა შრიალა ბაღებია!
ვით ეს მწვანე ალვის ხენი,
აქ სახლებიც მაღლდებიან.
აგერ, მტკვარზე ელავს ხიდი,
რა ლამაზი თაღები აქვს!
განიერი თაღის ჩრდილი
თითქოს ტალღებს თავქვე მიაქვს.
მიხარია, მალე მტკვარშიც,
ვით თბილისის ახალ ზღვაში,
გაჩაღდება ნაოსნობა
ლურჯ ტალღების ტაშისკვრაში.
რა მაღალი ხიდი არის,
რა ფართო და განიერი,
მას უღიმის, მას შეჰყურებს
ხალხი მხნე და მადლიერი.
მას უღიმის მომავალიც,
და ჩურჩულებს კოჯრის ქარი:
გემს და ნავებს ელოდება,
დღეს თბილისთან ლურჯი მტკვარი.
რა ნათელი დილა არის,
რა შრიალა ბაღებია!
განა მარტო ალვის ხენი,
აქ სახლებიც მაღლდებიან.

შალვა ფორჩხიძე



# პიონერული ბანაკის დღე

სამხრეთის მთებიდან დაქანებული მტკვარი დიდხანს ებრძვის ვიწრო ხეობებს, ვიდრე ბოლოს ტაშისკარს არ მოატანს და სარბიელს ერთბაშად არ გაიფართოებს.

ტაშისკარის სამხრეთით აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან დაშვებული მთები „მოავიწროებს მტკვარს კლდითა“-ო, — წერს გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი, — „აქ, მოვიწროებულსა შინა, არს განსავალი კარი და კოშკი მას ზედა, ქართლიდამ ხეობასა შინა სავალი. ამის მიერ ეწოდა ტაშისკარი“.

მომხიბლავია თავისი მშვენებით მთელი ეს მიდამო, სადაც ბარისა და მთის ბუნება ერთმანეთს ერწყმის და საოცარ სილამაზესა ქმნის: მაღლობიდან მოჩანს თითქმის მთელი ქართლის ველი, წელზე მტკვრის ქამარ-შერტყმული, სამხრეთიდან და დასავლეთიდან მთებით შემოზღუდული...

შეზავებული და გრილია აქაური ჰავაც.

ამიტომაა, რომ ეს მიდამო მრავალ დამსვენებელს იზიდავს ზაფხულობით.

სწორედ აქ, ხეობის ყელში, სადაც მთის კალთები თავდება და ქართლის ვაკე იწყება, ფერდობის ძირში გაშლილია ქვიშხეთის პიონერთა რესპუბლიკური ბანაკი, რომელიც მთელ საქართველოში კარგადაა ცნობილი. იგი უკვე ოცდაოთი წელია არსებობს და ამ ხნის მანძილზე მრავალ ათას ბავშვს გაუტარებია აქ დაუვიწყარი, წარმტაცი პიონერული ზაფხული.

აი, წელსაც მიწყდა უკანასკნელი ზარის ხმა. დამთავრდა გამოცდები სკოლებში.

სასწავლო წლის შედეგებით კმაყოფილი, ბედნიერი ბავშვები გაეშურნენ დასასვენებლად.

მოსწავლეთა ჟრიამულმა გამოაცოცხლა ქვიშხეთიც...

ცხრაასი ბავშვი დაისვენებს წელს სამ ცვლად ქვიშხეთის კეთილმოწყობილ პიონერბანაკში. საიდან, საქართველოს რომელი კუთხიდან არ ნახავთ აქ დასასვენებლად ჩამოსულ ბავშვებს! დედაქალაქის პიონერებთან ერთად აქ ისვენებენ რუსთაველი მეტალურგის, ჭიათურელი თუ ტყიბულელი მეშახტის, დუშეთელი მწყემსის, ზუგდიდელი მეჩაიეს შვილები.

მხიარულად, ხალისიანად ატარებენ ისინი დროს, უმეგობრდებიან ერთმანეთს, სწავლობენ, ერთობიან...

* * *

ბანაკი ადრიანი დილით იღვიძებს.

მიდამოს აფხიზლებს პიონერული საყვირის ხმა.

რვის თხუთმეტ წუთზე ყველანი უკვე ხაზზე დგანან... რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე იღებს

ეროვნული ბიბლიოთეკა





რაზმის საბჭოს თავმჯდომარეების პატაკს. იგი მიდის უფროს პიონერხელმძღვანელთან და მოახსენებს, რომ რაზმეული მზადაა შეუდგეს მუშაობას. უფროსი პიონერხელმძღვანელი ბანაკს აცნობს დღის რეჟიმს...

ნასაუზმევს ყოველ რაზმში იშლება მრავალფეროვანი, მიმზიდველი საქმიანობა.

აი, მეორე და მეხუთე რაზმები ემზადებიან საზეიმო შეკრებისათვის: იმეორებენ სიმღერებს, სწავლობენ ახალ ცეკვას, ნორჩი პოეტები თხზავენ ლექსებს.

მესამე რაზმის პიონერები უვლიან ბანაკის გარშემო დარგულ მცენარეებს, რწყავენ ნერგებს, რგავენ ახალ ყვავილებს...

გაცხოველებული მუშაობაა პიონერთა ოთახში: აქ უშვებენ კედლის გაზეთის ახალ ნომერს, ამზადებენ ალბომს, წერენ დღიურებს.

პიონერი გოგონები სწავლობენ ქარგვას, ღილების დაკერებას, ღილკილოების გაჭრას, ვაჟები სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესწავლით არიან გატაცებული.

საერთოდ, ბანაკში პიონერები ეჩვევიან დამოუკიდებელ საქმიანობას, იძენენ შრომის ჩვევებს, შრომის სიყვარულს. აი, პირველი რაზმი დღეს მორიგეა! მორიგე რაზმის პიონერები სამზარეულოში ფუსფუსებენ, ჰალარა მზარეულს შველიან: ზოგი წყალს მოარბენინებს, ზოგი კარტოფილს; სხვები კიდევ პურს ჰრიან, მწვანილს არჩევენ...

მზარეული — ძია რუბენი მეტად კმაყოფილია. ბავშვებმა მას კარგი სამსახური გაუწიეს. გემრიელი და ნოყიერი კერძი უკვე მზადაა!

გაისმის მეორე საუზმის ნიშანი.

პიონერები რიგრიგობით შედიან სასადილოში და იკავებენ თავიანთ ადგილს. მათ ემსახურებიან მათივე ამხანაგები, რომლებიც თავისუფლად დაცქრიალებენ მაგიდებს შორის და ცხელ საუზმეს არიგებენ...

* * *

მეორე საუზმის შემდეგ ბავშვები დასასვენებლად ტყეში მიდიან. ტყე აქვე, ბანაკის ახლოსაა. ამაყად შრიალებენ უზარმაზარი ხეები. შიგდაშიგ ტყეში ხასხასა მწვანით მოსილი მინდვრებია.

ტყე ყველას ძლიერ იტაცებს: იჭერენ პეპლებს, ეცნობიან მცენარეებს, აგროვებენ კოლექციებს...

გართობის შემდეგ პიონერები გარს შემოუსხდნენ ხელმძღვანელს. იწყება საუბარი: „ორი სამყარო — ორი ბავშვობა“.

ერთი — ნათელი, ლაღი ბავშვობა ყველასათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგადაა ცნობილი. ბავშვები კარგად გრძნობენ ყოველდღიურ მშობლიურ ზრუნვას, იციან, რომ მათთვის ყველა გზა ხსნილია, მათი მომავალი ბედნიერი და შუქმოსილია.

იქ კი, შორს — ოკეანის გადაღმა, მილიონობით უმუშევრის შვილებს ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ არსებობს სადმე ისეთი ქვეყანა, სადაც ბავშვებზე ამდენს ზრუნავენ, მათ დასასვენებლად სპეციალურ სახლებს აგებენ, მათი სწავლისა და განათლებისათვის მილიარდებს ხარჯავენ.

პიონერები იხსენებენ მათ მიერ წაკითხულ წიგნებს, სადაც აღწერილია მათი ტოლების ბედი უცხოეთში: იქ ბავშვები მძიმე შრომას ეწევიან ფაბრიკებსა და პლანტაციებში; გადაყრილ კონსერვის ქილებს ეძებენ ნაგვის ყუთებში, სამოწყალოდ ხელს იშვერენ დაავადმყოფებულნი და გახეიბრებულნი...

ცხარე საუბარს წყვეტს საყვირის ხმა: სადილობის დროა!..

ყველანი ისევ სასადილოსაკენ მიეშურებიან.

ნასადილევს წყნარი საათი დგება და დროებით სრული სიწყნარე მყარდება, წყდება ყიჟინი და ჟრიამული.

მაგრამ დამთავრდება თუ არა წყნარი საათი, ფართო ეზო კვლავ ცოცხლდება. ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებზე იწყება შეჯიბრი. კალათბურთში ერთმანეთს ხვდებიან მერვე და მეექვსე რაზმელები. ჩაღდება ცოცხალი და საინტერესო თამაში, ისმის გულშემატკივართა ყიჟინი და ტაშისცემა...

ზაფხულის გრძელი დღე თანდათან იწურება. მზე კარგა ხანია გადაიწვერა და ტყეს მიეფარა.

პიონერებს ვახშამზე ეძახიან.

ნავახშმევს ყველანი ესტრადასთან იკრიბებიან. აქ დანიშნულია შეხვედრა სოციალისტურ შრომის გმირ ივანე ხაჩიძესთან. ი. ხაჩიძე ქვიშხეთელი კოლმეურნეა. იგი მევენახეთა რგოლს ხელმძღვანელობს და ყოველწლიურად უხვ მოსავალს იღებს. საუცხოოდაა მოვლილი მისი ვენახი, რომელიც სწორედ ბანაკის გვერდითაა გაშლილი.

პიონერებს ძალიან აინტერესებთ აქაური კოლმეურნეობის ცხოვრება. ისინი მონაწილეობენ კიდეც მის საქმიანობაში, ყოველწლიურად ეხმარებიან კოლმეურნეებს თავთავების აკრეფაში. შარშანდელი დახმარების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს რაზმეულის კედლის გაზეთში მოთავსებული ასეთი ამოცანა:

„ჩვენმა რაზმეულმა დაკარგული თავთავები აკრიფა 78 ჰექტარ ფართობზე. თითო ჰექტარის



აკრეფა კოლმეურნეობას უღირს 5 შრომადღე. შრომადღის ღირებულება კი დაახლოებით 25 მანეთია.

გამოიანგარიშეთ, რამდენი მანეთი დავუზოგეთ კოლმეურნეობას?“

ი. ხაჩიძე სთხოვს პიონერებს, წელსაც არ დაიზარონ დახმარება. ბავშვები ამ თხოვნას სიხარულით ხვდებიან.

პიონერები უჩვენებენ სტუმარს თავიანთ ხელოვნებას: უკრავენ, ცეკვავენ, ამბობენ ლექსებს. მიდამოს ეფინება მათი წკრიალა სიმღერა:

„აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე ქართველთ მხარეო!
და შენც, ქართველო, სწავლით
სამშობლო გაახარეო.“

მარქსის სახ. საქ. სახელ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ახლოვდება დასვენების დრო. გაისმის საყვირის ხმა...

რაზმეული კვლავ მწკრივდება ხაზზე. უფროსი პიონერხელმძღვანელი ღებულობს პატაკს და უბრძანებს რაზმებს — გაემართონ დასაძინებლად.

პიონერული ბანაკის მიმზიდველი და ხალისიანი დღე მთავრდება...

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს დღე ყველაზე მეტად წარმტაცი იყო. წინ ჯერ კიდევ ბევრი, კიდევ უფრო უკეთესი დღეებია:

მალე უნდა მოეწყოს ექსკურსია გორში დიდი ბელადის სახლის დასათვალიერებლად, ლაშქრობა ბულბულის კოშკზე, პიონერული კარნავალი...

მხიარულად ისვენებს ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობა!

**ზურაბ ჟუმბურიძე**

✻

ნარკვევში მოთავსებულ ფოტოსურათებზე: თანამიმდევრობით 1. ქვიშხეთის პიონერბანაკიდან ხშირად ესტუმრებიან ხოლმე საკოლმეურნეო ვენახში სოციალისტური შრომის გმირს — ივანე ხაჩიძეს, რომელიც პიონერებს ხალისით უზიარებს თავის გამოცდილებას. 2. მკვდარი საათის შემდეგ ქვიშხეთის პიონერბანაკში კვლავ ცოცხლდება კალათბურთის მოედანი. 3. საინტერესო მუშაობაა გაშლილი ბანაკის პიონერთა ოთახში; აქ იწერება დღიურები, აქ მზადდება კედლის გაზეთები, ალბომები. 4. პიონერრაზმები ხშირად აწყობენ ლაშქრობებს ქვიშხეთის მახლობლად მდებარე მცირე მაღლობებზე, საიდანაც თითქმის მთელი ქართლის ველი მოჩანს. 5. პიონერბანაკის სასადილოში მორიგეობენ ხოლმე და ხალისით ემსახურებიან თავისივე ამხანაგებს პიონერები.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა**

✻



# საბანაკო სიმღერა

**კალე ბობოხიძე**

ისევ ვეწვიეთ ქვიშხეთის ბანაკს,
საამო სიო სხეულს გვიგრილებს
და ამ მშვენიერ მთაში და ბარად
ვკრეფთ ნორჩ ზამბახებს, ვარდებს, გვირილებს.

ველზე დაკრეფილ ლამაზ ყვავილებს,
ვეალერსებით, ვაწყობთ კონებად;
გავცქერით ყანებს, ცვრით განბანილებს
და ვივარჯიშებთ სხეულს, გონებას.

როცა დაისი დასავლეთს ანთებს
და დგება ღამე გასაოცარი,
ჩვენ პიონერულ კოცონებს ვანთებთ
და ალს ზეცისკენ იტაცებს ქარი.

... გახარებულნი ამ ნათელ გზაზე
სკოლისკენ მალე ავგუგუნდებით,
დასვენებული, ჯანღონით სავსე,
ისევ ჩვენს მერხებს დავუბრუნდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. გ. თოთიბაძისა

მურმან ლებანიძე

# გრიცკო

## თავი პირველი

ეს პატარა კუნძული, რომელიც ბუმბერაზ დნეპრს სტანიცა ბრავოსთან მთელ ნახევარ კილომეტრზე ჩასდევდა და შუაზე ჰყოფდა, წარმოადგენდა თეთრი არყისა და ნეკერჩხლის მოზარდ ჭალას. ასეთი პატარა კუნძულები ბევრია დნეპრის ქვემო წელზე, მაგრამ ეს კუნძული გარდა იმისა, რომ ულამაზესი იყო მრავალთა შორის, მთელი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში განსაკუთრებული იდუმალებით იყო მოცული.

ომამდე, ათიოდე წლის წინ, დიდი და პატარა ამ კუნძულის სტუმარი იყო. მიცურავდნენ მისკენ გაღმა-გამოღმა სტანიცებიდან ნავები, დაჰყაპუნობდნენ კუნძულის ლერწმიან ნაპირებში ბრეზენტის ტანსაცმელში გამოწყობილი მონადირენი, დააბოტებდნენ ტყე-ტყე ათასგვარი ჰერბარიუმით შეიარაღებული ნორჩი ნატურალისტები და კოლექციონერები, ბრიალებდნენ ღამ-ღამობით კუნძულზე სათევზაოდ დარჩენილ მებადურთა კოცონები...

მას შემდეგ კი, რაც აქ 1943 წელს გმირულად დაიღუპნენ კოლმეურნეობის პარტორგი კრივენკო და თორმეტი კომკავშირელი, რომლებმაც კარგა ხანს შეაფერხეს ფაშისტების პოლკის მიერ სტანიცა ბრავოსთან დნეპრის გადმოლახვის ოპერაცია, — კუნძული მიტოვებულ სასაფლაოს დაემსგავსა. ფაქტიურად იგი სასაფლაოც იყო. აქ იდგა ფაშისტურ ჩაჩქანგადაცმული ასორმოცდაცხრა ხის ჯვარი, რომელზეც ხანდახან ამდენივე ყვავი იჯდა... ყოველ შემთხვევაში ასე ჰყვებოდა მეშვიდეკლასელი პიონერი, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე აყლაყუდა გავრილა სიდორენკო, რომელიც იმდენად გამბედავი იყო, რომ ორლესული გერმანული ხიშტის მოსაპოვებლად — მოწმე არავინა ჰყავდა, მაგრამ — უსათუოდ მარტოდმარტო გავიდოდა კუნძულზე.

ასე გაველანდა, ასე მოპირქუშდა კუნძული.

ეს მოხდა ათი წლის წინათ.

ახლა?

ჩაუვლიან კუნძულს, შეჰყვირებენ, აგუგუნდებიან და მიცურავენ დნეპრზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ უდარდელი გემები, ბარჟები, კარჭაპები... მიცურავენ და მიაქვთ ახალი კახოვკისკენ: თუჯი და რკინა, ცემენტი და აგური, მანქანა და ძრავი, სიმღერა და გარმონი...

* * *

— შეხედე, შეხედე... ისევ ისინი არიან! ნამდვილად ისინი! — თქვა უცებ მაღალმა, ხმელ-ხმელმა, ჩოფურა ბიჭმა და თითი კუნძულისკენ გაიშვირა.

ეს იყო გავრილა სიდორენკო.

ყმაწვილებმა თვალი გააყოლეს გავრილას საჩვენებელ თითს, მაგრამ ვიწრო, გრძელი ნავი კუნძულის ლერწმიან ნაპირს შეერია, და მენავეები ველარ გაარჩიეს.

— დაინახეთ? — იკითხა გავრილამ და ამხანაგებს მოუბრუნდა. — ხომ დაინახეთ?!

— ისინი იყვნენ, — თქვა ერთმა და გაოცების ნიშნად მხრები აიჩეჩა.

ერთხანს ბიჭები დუმდნენ და კუნძულს გასცქეროდნენ.

მერე ტანმორჩილმა, მსუქანმა, ჭორფლიანმა რაზმის მედროშემ — პანასმა, რომელიც ყოველთვის გავრილას დასდევდა კუდში, იმედიანად თქვა:

— ყოვლად შეუძლებელია!

გავრილა მიხვდა პანასის ნათქვამს. მედროშეს არ უთქვამს, მაგრამ იგულისხმა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო ვინმეს გაებედნა კუნძულზე სტუმრობა, — გავრილას გარდა. იგი სიამოვნებით დაეთანხმებოდა პანასს, მაგრამ მთელი კვირაა ცნობისმოყვარეობამ დატანჯა: მარტის შუა რიცხვებიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც რაზმეულის შეკრებაზე გადაწყდა მშენებელთა ქალაქის — ახალი კახოვკის პიონერებისათვის საჩუქრების მომზადება, ამჩნევს, — მეხუთე რაზმის პიონერები გაკვეთილების შემდეგ ჩუმ-ჩუმად იკრიბებიან, რაღაცას საიდუმლოდ ჩურჩულებენ... რაზმის საბჭოს თავმჯდომარე კი — ჯიუტი, ამაყი ბიჭი გრიცკო — თავის მედროშესთან ერთად, ბარე სამჯერ დაინახა კოლმეურნეობის ნავებთან რომ ფუსფუსებდა დნეპრის პირზე.

— კი, კი... ისინი იყვნენ! — თქვა მან გულდაწყვეტით. — აკი გითხარი, გუშინწინ მარტო გრიცკო იჯდა ნავში, გუშინ საშკოც ახლდა... ჩემი თვალით დავინახე... აბა, მომყევით!

გავრილა დაეშვა და ბიჭები გუნდად მიჰყვნენ თავდაღმართში. ჩაირბინეს ბუჩქნარიანი სერი, გაუხვიეს მარჯვნივ — ტირიფის ჭალაში და დნეპრისპირ ბეგზე მიეყარნენ. აქედან ფეხზე აუდგომლადაც კარგად ხედავდნენ კუნძულის სტანიცისაკენ მოქცეულ მთელ სანაპიროს და შეუმჩნევლად შეეძლოთ თვალთვალი.

შიშველ, ჯერ კიდევ გაუფოთლელ ტირიფებს შორის მოჩანდა ნაცნობი, ასჯერ და ათასჯერ დანახული კუნძული მოზარდი ნეკერჩხლითა და რძისფერი, სანთელივით სწორი წერწეტი არყის ხეებით. რაც თავი ახსოვდათ ამ კუნძულს უცქერდნენ ყმაწვილები. დღითა და ღამით, ზამთარ და ზაფხულ ამ თეთრ არყებს გასცქეროდა სტანიციდან ყოველი ფანჯარა — ეგ იმიტომ, რომ ახალი კახოვკისა არ იყოს, სტანიცა ბრავოც ახალი გაშენებულია, მაშასადამე, გეგმითაა გაშენებული, და სხვას რას უყუროს უკრაინული სტანიცის ფანჯრებმა, თუ არა დიდებულ დნეპრს!

გაიარა ათმა წუთმა, გაიარა ოცმა წუთმა. ბიჭები ისხდნენ და ელოდნენ გრიცკოს გამოჩენას. ზოგს მართლაც აინტერესებდა რაში იყო საქმე, ზოგი გავრილას ხათრით იჯდა. მაგრამ ამ ცივ მარტში, როცა ეს-ესაა გალღვა მიწა, სველ ბეგზე დიდხანს ვერ იჯდები, და მალე ყველამ შინ გაიწია.

გავრილა რაზმის საბჭოს დავმჯდომარე იყო, გარდა ამისა გამოსწორებული და დაწინაურებული მათ შორის, ვინც სულ ახლახან შფოთისთავობითა და მასწავლებელთათვის უსიამოვნო ენერგიულობით იყვნენ ცნობილი, ამიტომ რაზმში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ ახლა სადილობა იყო, ბიჭებს შინ მისვლა ეჩქარებოდათ და მათი გაჩერება არ მოხერხდებოდა.

— აკი ვთქვი, ყოვლად შეუძლებელია-მეთქი, — თქვა პანასმა, გახარებულმა იმით, რომ ამდენ ხანს არავინ გამოჩნდა. იგი ფეხზე წამოდგა, შარვალი გაიბერტყა, თან ფიქრობდა: „ვაი თუ მართლა გრიცკო იყოს! ჯერ ერთი — ჩვენი რაზმის პრესტიჟი... მეორეც — ბევრი ფიქრი არ იცის გავრილამ, უარს ხომ ვერ ეტყვი?! ვინ იცის რა მოეპრიანოს! ჩაგისვამს ნავში და... წაჰყევი სასაფლაოზე... დნეპრი კი, შეხე, როგორია!“

მართლაც საოცრად იყო გადარეული ბუმბერაზი დნეპრი; დატბორებულიყო ზღვასავით, გაშლილიყო მარჯვნივ და მარცხნივ, თვალი ვერ გადასწვდენოდა... ვერ გაუგებდა კაცი, იდგა თუ მიდიოდა. დროდადრო გამოჩნდებოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ნელა, დინჯად მოტივტივე რაღაც მასივი — თოვლსა და ყინულს შუა — და ზღვა არ არისო, ამხელდა დნეპრს.

* * *

როცა რაზმეულის შეკრებიდან მთელმა კვირამ გაიარა და რაზმებში შეწყდა მითქმა-მოთქმა და კამათი იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა საჩუქრის დამზადებას შესდგომოდა ესა თუ ის რაზმი, გრიცკომ და საშკომ გადაწყვიტეს, რომ მართალია მეხუთერაზმელი ნატურალისტები მშვენივრად ანაშენებენ თავიანთ შავსა და თეთრ კურდღლებს და არც ამას წინათ გავრილას მიერ ჭალაში შეპყრობილი თრითინა იქნება ურიგო საჩუქარი, მართალია მეცხრერაზმელმა ბოგდან ბუკაშკომ კახოვკელი პიონერებისადმი მიძღვნილი კარგა გრძელი ლექსი გაგზავნა კიევში, რომლის დაბეჭდვას დღე-დღეზე ელიან პიონერულ გაზეთში და ადვილი შესაძლებელია კიდეც დაიბეჭდოს... მაგრამ ლექსი მაინც ლექსია და ქაღალდზე დარჩება... ხუთასი ძირი არყის ხე და ნეკერჩხალი კი სერიოზული, საქმიანი საჩუქარია, ცოცხალი საბუთია და დიდხანს იშრიალებს ახალი კახოვკის ქუჩებში.

ტყე ახლოს არსად იყო სტანიცა ბრავოსთან და, როცა გრიცკომ მეხუთე რაზმს თავისი ჩანაფიქრი გაუმჟღავნა, ვერავინ მიხვდა სად აპირებდა რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ამდენი ნერგის შოვნას. მაშინ გრიცკომ საშკოს გადახედა მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით. საშკომაც გაიღიმა და ბიჭებს კუნძულზე მიუთითა. ყველას უმალ გაუნათდა გონება, მაგრამ ასევე უმალ ჩაუქრა სიხარულის ნაპერწკალი. ამის შემდეგ მთელი ორი დღის განმავლობაში ეწეოდნენ აგიტაციას გრიცკო და საშკო. ხმას დაუწევდნენ და უყვავებდნენ, ანხჩლობდნენ და ყვიროდნენ, იხვეწებოდნენ, ამხნევებდნენ და აქეზებდნენ ამხანაგებს.

— არავითარი სასაფლაო! არავითარი ჯვრები და ყვავები... არ დაიჯეროთ, ტყუილია! ფეხი არ დაუდგამს გავრილას კუნძულზე... — გაჰკიოდა გრიცკოსგან გათამამებული საშკო, თვითონ კი ღამღამობით ცუდად ეძინა და ათასგვარ უსიამოვნო სიზმარს ებრძოდა.

ბოლოს გატყდა ყინული და რაზმში ორი გმირი გამოჩნდა. ესენი იყვნენ ძმები ბიჩკოები — ტყუპები. ბიჩკოების მამა შორეული ცურვის მეზღვაური იყო. თვითონ ძმები ჩუმი, უწყინარი, მაგრამ გაბედული ბიჭები იყვნენ და ლამის დაბადების მეორე დღიდანვე სწავლობდნენ ცურვასა და ნიჩბის მოსმას, — ვითომდა, სირცხვილია ჩვენი მამის შვილები ცუდად ვცურავდეთო. ტყუპები ერთ ხანს დუმდნენ, სხვებს აცალეს, მერე უფროსმა, ესე იგი პეტკამ, რომელიც მთელი ნახევარი საათით ადრე დაიბადა თავის ძმაზე, თქვა:

— მაშ თქვენ ამბობთ, რომ კუნძულზე სასაფლაოა?

— დიახ! დიახ! — შესძახეს ყოველი მხრიდან.

— კეთილი! — თქვა პეტკამ. — ერთი ამაზეც მიპასუხეთ, თქვენ პიონერები ხართ?!

— მერე?

— არაფერი, პიონერები თუ ხართ-მეთქი?

— ვართ! ვართ! — უპასუხა ზოგმა.

— ხართ. პიონერები კი არა ზოგ-ზოგი თქვენგანი მგონი კომკავშირშიც აპირებს შესვლას! — პეტკა წუთით შეჩერდა, გრიცკო, საშკო და თავისი უმცროსი ძმა, რომელიც მასავით გამბედავი ბიჭი იყო, შეათვალიერა და განაგრძო: — აი, ამ კუნძულზე თორმეტი კომკავშირელი დაიღუპა, ერთიც — კომუნისტი... იმათ ცოცხალი ფაშისტების არ შეეშინდათ, თქვენ კი მკვდრებისა გეშინიათ...

რაზმი დუმდა.

გახარებულმა გრიცკომ მხარზე ხელი დაჰკრა პეტკას:

— აი, ჩვენ ოთხნი გავალთ კუნძულზე ხვალ დილით... თქვენ კი გვიყურეთ...

იმ ღამეს სტანიცა ბრავოში კიდევ ბევრგვარი სიზმარი იქნა ნახული, ოღონდ ერთმანეთისათვის არავის გაუმხელია. მეორე დღეს კი, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, მთელი რაზმი დნეპრის პირას იდგა და გასცქეროდა ნავებს, რომლებიც კუნძულისკენ მისცურავდნენ; პირველში გრიცკო და საშკო ისხდნენ, მეორეში — ტყუპები.

ყამირი გატყდა, იმავე დღეს ოთხმა პიონერმა გაბედა კიდევ. მეორე დილით დასვენების დღე იყო და სხვა თორმეტი იქნა გადაყვანილი. კვირა საღამოს ორიოდე გოგონას გამოკლებით მთელი რაზმი კუნძულზე იმყოფებოდა.

მალე კუნძულზე რამდენიმე ათეული ბარი, წერაქვი და ნაჯახი გადაიტანეს. მეთევზეთა ფარდულში იპოვნეს ორ ქვაზე შედგმული დიდი თუჯის ქვაბი. ტყუპებმა მოიძიეს და გოგონებმა დააკერეს ძველი სასროლი ბადე. აწკრიალდა ქვა-ღორღიან ჭალაში ბარი და წერაქვი, გაიშალა ბადე კუნძულის ლერწმიანში, ათუხთუხდა მიტოვებული თუჯის ქვაბი და გაცოცხლდა კუნძული.

ასე დაიძრა ადგილიდან ეს კარგი საქმე, მაგრამ დიდი და კარგი საქმეები ყოველ ნაბიჯზე იქნებოდა ამ ქვეყანაზე, მათი გაკეთება რომ ასე ადვილი იყოს. კეთილ საქმეებს ხშირად ათასი დაბრკოლება აღუდგება ხოლმე წინ. ამ საქმესაც, რომელიც თავიდანვე დაბრკოლებით დაიწყო, მრავალი სიძნელე შეხვდა შემდეგში.

პირველი თავსატეხი ის იყო, რომ კოლმეურნეობის მებადურთა ბრიგადირმა, რომელსაც საშინლად ეჯავრებოდა როცა მისი „ესკადრით“ სოფლის წვრილფეხობა დასეირნობდა, რამდენჯერმე შენიშნა თავის „ნავსადგურში“ მოფუსფუსე მეხუთე რაზმი. ეს ნავსადგური წარმოადგენდა კოლმეურნეობის მეთევზეთა ბრიგადისათვის განკუთვნილ პაწია ფიცრულს დნეპრის პირზე. ავდარში ამ ფიცრულქვეშ ეღაგა ღამღამობით ნავები, კარგ ამინდში კი იქვე, წყლისპირ დასობილ მორზე გამობმული ტივტივებდა. მარტი იყო და გრიცკო სარგებლობდა იმ მდგომარეობით, რომ თევზის ჭერა — ჯერ არ დაწყებულიყო, ამას გარდა მეთევზეთა ბრიგადა კოლმეურნეობის საგაზაფხულო სამუშაოებში იყო ჩაბმული და ბრიგადირი კვირაში ერთხელ თუღა ახერხებდა თავისი ნავების შემოწმებას. მას შემდეგ კი, რაც ერთხელ შემთხვევით ტყუპებს წააწყდა და პანტა-პუნტით გადმოჰყარა ნავიდან, ბრიგადირმა უმატა „ნავსადგურში“ სიარულს. ამას დაემატა ისიც, რომ მეცხრე რაზმი, გავრილას მეთაურობით, გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მეხუთე რაზმის საეჭვო საქმიანობას და სტანიცაში უკვე გაჩნდა ხმები კუნძულთან დაკავშირებული საიდუმლო საქმის შესახებ. ყველაფერი ეს საათობით აბრკოლებდა რაზმის კუნძულზე გადაყვანას და, მაშასადამე, შრომისნაყოფიერებასაც.

ეს იყო საქმის „საგარეო მდგომარეობა“, როგორც ამბობდნენ ძმები ბიჩკოები. რაც შეეხება „საშინაო მდგომარეობას“, ესე იგი საქმის მიმდინარეობას თვითონ კუნძულზე, აქაც გაჩნდა დაბრკოლებები.

სწორედ ამ დაბრკოლებებზე ფიქრობდა გრიცკო და უგუნებოდ იყო, საშკო კი გულმოდგინედ უსვამდა ნიჩბებს, როცა გავრილამ ისინი შენიშნა. არც გრიცკოს გამოპარვია მხედველობიდან მეცხრე რაზმი, რომელმაც სერი ყიყინით ჩამოირბინა, ამიტომ საჩქაროდ გამოსტაცა ნიჩბები საშკოს და კუნძულს მარჯვნიდან კი არ შემოუარა ჩვეულებისამებრ, რასაც კონსპირაციული მოსაზრებებით სჩადიოდა ხოლმე, არამედ ნავი სქელი ლერწმიანის გავლით ზედ მიაყენა კუნძულს.

— შეგვნიშნეს... — თქვა მან გულდაწყვეტით, როცა კუნძულზე გადავიდა. საშკო კი კარგა ხანს დნეპრზე გადახრილ ბებერ მურყანთან წვალობდა, ზედ ნავს აბამდა თოკით. ნავი რომ დააბინავა, ერთ ხანს ისევ იდგა და გაღმა გასცქეროდა სანაპიროს. საშკო დაბრუნდა და დაიფიცა. — არავინაა, მოგეჩვენაო. მერე ისინი დაადგნენ ამ ერთი კვირის განმავლობაში გაკვალულ ბილიკს, უკან მოიტოვეს ჯახველის ბუჩქნარით შემოზღუდული სასაფლაო, სადაც ასორმოცდაცხრა ჯვრის ნაცვლად საშკომ ერთხელ კიდევ დაითვალა ჩვიდმეტი ჯვარი, რომლებზეც არც გერმანული კასკები იყო ჩამოცმული და არც ყვავები ისხდნენ.

მალე ისინი თავს წაადგნენ ტყუპებს. ბიჩკოები შესწრებულ იქნენ ისეთ ბუნებრივ მდგომარეობაში, რომ ეჭვი აღარ იყო მათ კეთილსინდისიერებაში. ისინი თავს როდი აჩვენებდნენ რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს კარგ ბიჭებად. მათთვის უცხო იყო პოზა; გულმოდგინედ ჩასჭიდებოდნენ მოზარდ არყის ხეს, რომლის ირგვლივ მთელი მეტრის რადიუსით კარგა ღრმა ორმო იყო უკვე ამოთხრილი. ტყუპებმა ამოწვადეს ნერგი, შეამოწმეს — ფესვი ხომ არ დავწყვიტეთო, ისევ ჩადგეს ნერგი ორმოში და ზედ ქვიშის წაყრას ეპირებოდნენ, რომ გრიცკოც მიესალმათ.

— როგორაა საქმე?! — იკითხა გრიცკომ და აქაურობას თვალი მოავლო. მას არ გამოჰპარვია კიდევ ორი არყის ხე, რომელიც უკვე ამოეწვადათ ძმებს და ფესვებზე ქვიშაც წაეყარათ. ამას იმიტომ სჩადიოდნენ, რომ მართალია მარტი აგერ-აგერ მიწურულისკენ მიდიოდა, მაგრამ ღამ-ღამობით მაინც იყო მოსალოდნელი ყინვა და ნერგებს გააფუჭებდა. კახოვკაში ნერგების წაღებამდე კი წინ მთელი კვირა იყო.

— საქმე ჩვეულებრივადაა, — თქვა უფროსმა, ხელზე ტალახი მოიფშვნიტა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა, — ჩვენთან არა უშავს, ეს მესამეა უკვე...

— იქით?

— იქით... გოგონების რგოლმა ორი ძირი ამოწვადა, კრივენკოს რგოლმა ოთხი.

— სულ რამდენნი არიან?

— ოცდაორი. ორი ავადაა. სამს დღეს გაკვეთილი არ ჰქონდა მზად და მე თვითონ ავუკრძალე წამოსვლა. სამმა თვითონ აღარ ისურვა...

— ოცდაორი... — გაიმეორა გრიცკომ ფიქრიანად, — ესე იგი სულ რამდენი ნერგია დღეს გამზადებული?!

— ცხრა. ეგ არის და ეგ!

პეტკას ხმაში აშკარად ისმოდა საყვედური. ეს ნიშნავდა: „თუ ორმა პიონერმა ამოწვადა სამი ნერგი, დანარჩენმა ოცმა რატომღა ამოწვადა მხოლოდ შვიდი?“

გრიცკოს, რა თქმა უნდა, ესმოდა პეტკას საყვედურის აზრი. იგრძნო, რომ საყვედური სამართლიანი იყო, დააპირა კიდეც შეექო ძმები, მაგრამ უსამართლოდ მოიქცა, როცა ეს არ გააკეთა. ხოლო ეს არ გააკეთა იმიტომ, რომ ამაყი იყო და გაახსენდა გუშინდელი რაზმის შეკრება, რომელიც აქ, ამ კუნძულზე ჩატარდა და რომელზეც პეტკამ გამოთქვა საოცრად ახირებული აზრი. პეტკამ თქვა, რომ საქმეს თავი ვერ მოება, რომ იგი შესაძლებელია ჩაიშალოს კიდეც, რომ მას — პეტკა ბიჩკოს — ეჭვი ეპარება, კანონიერია თუ არა საერთოდ ეს „არალეგალური“ რაზმის შეკრებები... და დასასრულ... ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი — გატანილიყო ეს საკითხი რაზმეულის შეკრებაზე, რომელიც ამ დღეებში მოეწყობა.

ან ყოველ შემთხვევაში ხომ არ ჩაგვერია ამ საქმეში ერთიორი რაზმი, ვთქვათ — მეექვსე და მეცხრე რაზმით...

ჭალიდან მოდიოდა ერთი აურზაურისა და სიცილ-ხარხარის ხმა. მზე სამხრობაზე წამომდგარიყო და საათნახევარში დაბინდდებოდა კიდეც. ასე რომ რაზმის კუნძულიდან გადაყვანის დრო ახლოვდებოდა. გრიცკო წინ წაუძღვა ბიჭებს და ისინიც გაჰყვნენ. ოთხივენი დუმდნენ. „საოცარი ხალხია ეს ტყუპები, — ფიქრობდა გრიცკო, — ჯერ იყო და საქმეს თავი მოაბეს: ხალხი გაამხნევეს, დაიყოლიეს, ჩემს მხარეზე იყვნენ... მერე იყო და რაზმის შეკრებაზე ჩხუბი ამიტეხეს... ახლაა და მუშაობით თავს იკლავენ, ყველას აჯობეს...“

* * *

გადიოდა დღეები. საქმე, მართალია ნელი ტემპით, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა. გრიცკოს, ცოტა არ იყოს, გული გაუტყდა, პირვანდელი ალტყინება დაუცხრა, გეგმას დაუწია და იმედოვნებდა, რომ ორას ძირ ნერგს მაინც დაამზადებდა აპრილის პირველი რიცხვებისათვის. ოც მარტს, როცა საგაზაფხულო არდადეგები გამოცხადდა და მეოთხედის ნიშნები დაარიგეს, ოთხმოცამდე ძირი მზად იყო. საჩუქრების შეკრება და კახოვკაში გაგზავნა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ხუთი აპრილისათვის დანიშნა. გრიცკომ გულში ამოიჭრა საგაზაფხულო არდადეგები მთელი შესაძლებლობით გამოეყენებინა, მაგრამ მოხდა ერთი მოულოდნელი ამბავი, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მუშაობა მთელი ორი დღით ჩაშალა.

ეს იყო არდადეგების პირველსავე დღეს. მეხუთე რაზმი უთენია შეიკრიბა დნეპრის პირზე. ის იყო კუნძულზე გადასვლას აპირებდა, რომ ნაპირს ასიოდე მეტრზე მოუახლოვდა ნავი და ბიჭებმა შიგ გავრილა და პანასი გაარჩიეს.

მთელი რაზმი შეცბა. საქმის შინაარსი ნათელი იყო: გავრილა და პანასი კუნძულზე იყვნენ, გამოარკვიეს მეხუთე რაზმის საიდუმლო საქმიანობა და ახლა გაბუტულები და ამრეზილები გადმოდიოდნენ ნავიდან.

კაცმა რომ თქვას, დანაშაული არაფერი ჰქონდა ჩადენილი არც ერთსა და არც მეორე მხარეს — მაინც, თითქოს ქურდობაში წაასწრესო ერთმანეთს, წამით ორივე მხარეს შერცხვა და უხერხულმა დუმილმა ჩამოიარა. ორივე მხარეს ელდა ეცა ერთმანეთის დანახვით. შემდეგ კი, ჩანს, საწყენი გრიცკოს მეტი ჰქონდა, რომ გაფითრებამ უცებ გაუარა და წამოწითლდა. იგი ფიცხად მოტრიალდა ამხანაგებისაკენ, გავრილასკენ თავი გადააქნია და ღვარძლიანად თქვა:

— გლახაკები! თვითონ ვერაფერი მოუფიქრებიათ და სხვას შესცქერიან ხელებში...

გავრილამ და პანასმა ნავი წყალში მიატოვეს და ნაბიჯს უჩქარეს. გრიცკოს სიტყვები ან ვერ გაიგონეს, ან თავი აარიდეს შელაპარაკებას — უგანეს. წინ მიაბიჯებდა მაღალი, გრძელფეხა გავრილა, უკან — მოკლე, ამიტომ ჩქარი ნაბიჯით მიცუნცულებდა მსუქანი, სქელი პანასი. უთუოდ ასე გასცილდებოდნენ კიდეც, ბიჭებს რომ ყვირილი არ აეტეხათ.

— გლახაკები!

— უშნოები!

— ჯაშუშები!

გავრილა თავდაბალი და გულკეთილი, მაგრამ ღონიერი, უშიშარი ბიჭი იყო, იწყინა და ჯიქურ მოუბრუნდა გრიცკოს:

— რაო, რაო?! ვერ გავიგონე... აბა გაიმეორე ერთიც!

ბიჭები გაჩუმდნენ. არავის გაუბედია გამეორება. გრიცკომ სიტყვა ბანზე აუგდო:

— სად იყავით?! — იკითხა მან და ხმას დაუწია.

— პაპაშენის ბაღში... — გაიღიმა — სიდორენკომ, — მაგ კუნძულზე მე შენზე ადრე ვარ ნამყოფი...

გრიცკო მოღლბა:

— არ არის კარგი, უთვალთვალო ამხანაგს... პიონერები აგრე არ იქცევიან.



— პიონერები... პიონერები... — გამოაჯავრა სიდორენკომ, — ლექციას მიკითხავს! პიონერები მე ვიცი როგორც იქცევიან... არც ისაა პიონერული, შენი სახელის მეტი არაფერი გახსოვდეს ქვეყანაზე...

გრიცკო წამოწითლდა. მას ნატკენზე დააბიჯეს ფეხი. ის მართლაც ძალზე პატივმოყვარე და ჯიბრიანი იყო. ეს კარგად იცოდნენ მისმა ამხანაგებმა. გრიცკო დაიბნა და სიტყვას ეძებდა, მაგრამ გავრილამ აღარ დაუცადა მას, შებრუნდა და წინ წაუძღვა თავის მეგობარს. ისინი მიდიოდნენ თითქმის გამარჯვებულებივით. მიდიოდნენ და დუმდნენ. ასიოდე მეტრზე რომ გასცილდნენ მეხუთე რაზმს, გულმოცემული პანასი მოტრიალდა:

— გრიცკო... — გამოსძახა მან, თან გავრილას მკლავში ჩაებღაუჭა, ვითომ ნახე ერთი რა უნდა ვუთხრაო, — გრიცკო, მაგ საქმისგან ერბო-კვერცხის მეტი არაფერი გამოვა... ტყუილად გარჯილხარ... კახოვკა ქვიშაზეა გაშენებული... — კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ გავრილამ აღარ აცალა, სწვდა მკლავში და ბოჩოლასავით გაითრია უკან.

ამაზე ყველას გაეცინა და, როცა „ჯაშუშები“ თვალს მიეფარნენ, ბიჭები ნავებში ჩასხდომამდე კარგა ხანს ყაყანებდნენ იმაზე, თუ რა ხელმარცხიანი და სასაცილო ბიჭია სიდორენკოს მედოლე პანასი. მერე რიგ-რიგად იწყეს კუნძულზე გადასვლა. ახლა უკვე დასამალი აღარაფერი იყო და დნეპრი მეხუთე რაზმის სიცილმა, ყიჟინამ და სიმღერამ აავსო. გრიცკოს კი პანასის ნათქვამი ჭიასავით შეუჩნდა გულში, მოიწყინა, აიმრიზა, კუნძულის სამუშაოები ტყუპებს ჩააბარა, თვითონ კი ნაპირზე დარჩა და თავისთან საშკოც დაიტოვა.



— გრიცკო... — გამოსძახა მან, — მაგ საქმიდან ერბო-კვერცხის მეტი არაფერი გამოვა...

საშკო მიხვდა რა ფიქრიც აწუხებდა გრიცკოს. თვითონაც შეფიქრიანებული იყო: „ქვიშა და არყის ხე...“ ფიქრობდნენ ისინი. გასარკვევი იყო ორი საკითხი. პირველი: მართლა ქვიშაზე იწყებოდა ახალი კახოვკის მშენებლობა თუ პანასმა გამოიგონა ეს. მეორე: იხარებს თუ არა ქვიშაზე არყის ხე და ნეკერჩხალი.

— როგორ ფიქრობ, — უთხრა გრიცკომ საშკოს, როცა ისინი მარტო დარჩნენ და სტანიცისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ, — რატომ გააწყვეტინა გავრილამ ლაპარაკი პანასს?! დაიცა, როგორ თქვა? კახოვკა ქვიშაზეა გაშენებული და მაგ საქმიდან რა გამოვაო?

— ერბო-კვერცხი გამოვაო...

— ჰო, ერბო-კვერცხი... მერე გავრილამ ხელი წაავლო და თან გაითრია... ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ, რად გააკეთა გავრილამ ასე?

— იცი რა, გრიცკო, გავრილა არც ისე ცუდი ბიჭია... მე მგონი, ეგ ამას ნიშნავდა: „წამოდი, წამოდი, რაებს ბოდავო!“

გრიცკომ იჭვით გადააქნია თავი. მისი აზრით, გავრილას ეს მოქმედება სრულიად საწინააღმდეგოს ნიშნავდა. ამიტომ გეზი კოლმეურნეობის კანტორისაკენ აიღო. ჯერ მზე კარგად არ ამოსულიყო და მთავარი აგრონომი არ იქნებოდა კანტორიდან მინდვრად გასული.

გზაზე შეიარეს სამკითხველოში, „ხერსონის პრავდის“ იანვრის ნომრები მოითხოვეს და მთელი საათის განმავლობაში ჩაჰკირკიტებდნენ ნარკვევებს ახალი კახოვკის შესახებ. ბოლოს მიაგნეს ასეთ აბზაცს:

„დნეპრის მარჯვენა ნაპირზე, კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობასთან ერთად, მრავალსაუკუნოვან ქვიშიან ტრამალზე იშლება მუშათა მშვენიერი ქალაქის — ახალი კახოვკის მშენებლობა“.

— ქვიშიან ტრამალზე... — წარმოთქვა საშკომ გულდაწყვეტით.

— ქვიშიან ტრამალზე... — გაიმეორა გრიცკომ ფიქრიანად. — კეთილი, ქვიშიან ტრამალზე! მაგრამ განა შეიძლება ქალაქი იყოს მშვენიერი მწვანე ნარგავების გარეშე? მანდ კი გარკვევით წერია, რომ შენდება მშვენიერი ქალაქი...

— ჰო, გამწვანების გარეშე ყოვლად შეუძლებელია მშვენიერი ქალაქი...

ამასობაში მზე კარგად მოხურებულიყო და ბიჭებს აგრონომი აღარ დახვდა კანტორაში. მოიარეს კოლმეურნეობის სათესლე ბელლები, მიირბინეს ხეხილის სანერგეში... ახალ გაშენებულ ვენახში მიუსწრეს ბოლოს.

აგრონომს არ გაჰკვირვებია ბიჭების სტუმრობა. მასთან ხშირად დადიოდნენ ნორჩი ნატურალისტები ათასგვარი შეკითხვებითა და გამოკვლევებით. მთელს კილომეტრზე იცნობდა კაცი აგრონომს: ზამთარ-ზაფხულ ქილის ოქროსფერი ქუდი ეხურა, მაღალი იყო და შორიდან ჩანდა როგორ აქოთქოთებდა გრძელ ჩიბუხს. ის არ იყო მთლად ახალგაზრდა. ორმოცი, ორმოცდახუთი წლის კაცი იქნებოდა, მაგრამ ახალგაზრდულად გულმხიარულსა და დაუზარელს დიდი მიდრეკილება სჭირდა გრძელ-გრძელი მეცნიერული კონსულტაციებისადმი, რომლებსაც უხვად გასცემდა დიდსა და პატარაზე.

— აქ მობრძანდით. დაბრძანდით. რაზე შეწუხებულხართ? — მიუბრუნდა იგი ყმაწვილებს, როცა მევენახე ბრიგადირთან საუბარი მოათავა და ფარდულში გაისტუმრა. აფორიაქებული ბიჭები გრძელ სკამზე ჩამოუსხდნენ გვერდით. აგრონომი ჩიბუხს ტენიდა და შეკითხვას უცდიდა.

— არყის ხის შესახებ გვინდოდა გვეკითხა, ბოგდან ლუკიჩ, — თქვა გრიცკომ.

ბოგდან ლუკიჩმა ბიჭები შეათვალიერა:

— მოიცათ, ეგ როგორ... თეთრი არყის შესახებ?

— დიახ, დიახ! თეთრი არყის შესახებ.

— ჰოოო... თეთრი არყი... თეთრი არყი, ბავშვებო, შესანიშნავი რამაა. თქვენ გაინტერესებთ, ალბათ, თეთრი არყი როგორც ხის ჯიში. ხო, თეთრი არყი ხის ჯიშია. ფოთოლი მწვანე აქვს, მერქანი თეთრი... გამოიყენება საავეჯო წარმოებაში, იხმარება შეშად... მაგრამ მთავარი ეგ არაა. თეთრი არყი, მე, პირადად... მაგონებს... რუსეთს. თეთრი არყი რუსეთის სილამაზეა და რუსეთის სიმბოლოც... თეთრი არყი ძალიან უყვარდა პუშკინს, ლერმონტოვს, კოლცოვს, ნიკიტინს... თეთრი არყი უყვარს აგრეთვე რუს ხალხს. მე, მაგალითად, ავკრძალავდი ყოველგვარ მაგნოლიებსა და კვიპაროსებს და მთელი ქვეყნის ბაღებს ავავსებდი თეთრი არყით...

საშკომ ისარგებლა შემთხვევით და მშვენივრად შენიშნა, რომ ყველგან ერთნაირი ნიადაგი არ არის, მაგალითად ზოგან ქვიშაა, და მთელ ქვეყანაზე ალბათ ვერ იხეირებდა თეთრი არყი. ამასთან დაკავშირებით ბოგდან ლუკიჩმა კარგა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაშინ ბიჭებმა ნეკერჩხალზეც შეაპარეს შეკითხვა.

გრძელი ლექცია დახარჯა, საიდანაც ბიჭებმა გაიგეს, რომ მიჩურინული მეცნიერება ისეთი საქმეა, რომელიც დროთა განმავლობაში ყველაფერს მოუვლის, ჯერჯერობით კი, რასაკვირველია, თეთრი არყის ცხოვრების პირობები განსაზღვრულია. რაც შეეხება ქვიშას, — ქვიშა ქვიშისაგან განსხვავდება... გარდა ამისა მნიშვნელობა აქვს კლიმატსაც.

მაშინ ბიჭებმა ნეკერჩხალზეც შეაპარეს შეკითხვა:

— ჰოოო, — დაიწყო ლუკიჩმა, — ნეკერჩხალი... არც ნეკერჩხალია ურიგო საქმე. მშვენიერი დეკორატიული საშუალებაა. ნეკერჩხალიც იხმარება შეშად, მაგრამ მთავარია ნეკერჩხლის ფოთოლი... ეს საოცარი ფოთოლი აღმოსავლური ჭადრის ფოთოლსა ჰგავს. დაძარღვულია და მრავალკუთხოვანი, მუქი მწვანეა ზაფხულობით, შემოდგომობით კი, ფოთოლცვენის დროს, ნეკერჩხლის ირგვლივ ირევა მთლად წითელი, მთლად ყვითელი, ხოლო შიგდაშიგ განსაკუთრებულად ჭრელი ფოთლებიც — ნახევრად წითელი და ნახევრად ყვითელი — აქა-იქ იისფერი ტალებითა და ზოლებით... ჩემი ახალგაზრდობის დროს სპეციალური სიმღერაც კი იყო ნეკერჩხალზე:

ცვივიან ნეკერჩხლის ფოთლები—
წითელი,
ყვითელი
ფოთლები...

— მაგ სიმღერას ახლაც მღერიან ხოლმე, — ჩაურთო საშკომ.

— მით უკეთესი, — გაუხარდა აგრონომს, — სხვათა შორის, არაა ცუდი სიმღერა და სულ მალე ჩვენს სტანიცაში ძალიან მოდაში შემოვა. შარშანდელს აქეთ ვფიქრობ და თავი ვერ მოვაბი საქმეს. ბარე ხუთასი ძირი მაქვს შეგულებული... დნეპრიდან მოყოლებული კოლმეურნეობის კანტორამდე სულ ხეივანში უნდა ჩავსვა ჩვენი შარაგზა. მართლა, კარგ დროს გამახსენეთ... თუმცა დღეს არა მცალია და ხვალ უნდა შევამოწმო... ცნობა მომივიდა: პიონერები გაჩვეულან კუნძულზე... თუ წავასწარი, იმ ტყუპებს ტყუპად ავაცლი ყურებს! ჰო, თქვენ ვილასი ხართ? რომელ უბანში ცხოვრობთ?

ბოგდან ლუკიჩი ხელახლა შეუდგა ჩიბუხის გატენას, თანაც იღბლად ფარდულიდან ბრიგადირმა გამოსძახა რაღაც, ამიტომ ველარ შენიშნა მღელვარება ელდანაკრავ ბიჭებს.

ყმაწვილებმა რაღაც მიკიბ-მოკიბეს, სასწრაფოდ მადლობა მოახსენეს ბოგდან ლუკიჩს, აჩქარებით გამოეთხოვნენ და ფაცხა-ფუცხით მოუსვეს კუნძულისაკენ. კუნძულზე მთლად გული აუცრუვდა წელანდელი შემთხვევით ისედაც შეფიქრიანებულ რაზმს. იმავე დღეს გადაწყდა სამუშაოების ორი დღით შეჩერება და გრიცკოსი და საშკოს დაუყოვნებლივ ახალ კახოვკაში გამგზავრება, რადგან, როგორც აგრონომთან საუბარში მოხერხებულად იქნა გამორკვეული, ჯერ ერთი, საეჭვო იყო იხარებდა თუ არა თეთრი არყი და ნეკერჩხალი ქვიშიან ნიადაგზე, მეორეც — არსებულან თურმე ქალაქთა მთავარი დეკორატორი აგრონომები, რომელთა სურვილსა და გემოვნებაზე ყოფილა დამოკიდებული სახელდობრ რომელი ნარგავით იქნას გამშვენებული ესა თუ ის ქალაქი.

მეორე დილით ხერსონიდან უთენია ჩამოიარა სამდინარო ტრამვაიმ. ეს იყო მცირე ზომის მშვენიერი სამგზავრო გემი. ბრავოში სამდინარო ტრანსპორტს მისადგომი ახლოს არა აქვს, და გრიცკო და საშკო ორიოდე კილომეტრზე მეზობელ სტანიცაში დახვდნენ გემს. სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა და ბიჭებს მხოლოდ ძმები ბიჩკოები აცილებდნენ.

გემმა გაცურა ახალი კახოვკისაკენ, ტყუპები კი, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლოთ ათასი საინტერესო რამ გამოეგონებინათ გზაზე, მალე დაბრუნდნენ სტანიცაში, რადგან მიღებული ჰქონდათ საგანგებო დავალება: სასწრაფოდ დაკავშირებოდნენ მეცხრე რაზმის ხელმძღვანელობას, ესე იგი გავრილას და პანასს, მოლაპარაკებოდნენ გრიცკოს სახელით და დაჰპირებოდნენ საქმეში შეამხანაგებას, რათა თავიდან აეცილებინათ საქმის გახმაურება.

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი შ ე მ დ ე გ ნ ო მ ე რ შ ი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეული ზღაპრები



ნახ. ი. გაბაშვილისა

## ძ მ ე ბ ი

ერთ სოფელში ცხოვრობდა ცოლ-ქმარი. მათ ორი ვაჟიშვილი ჰყავდათ. გადიოდა წლები, ბავშვები იზრდებოდნენ, მშობლები კი ბერდებოდნენ. როდესაც ჩან-მოს,—ასე ერქვა უფროს ვაჟიშვილს,—ოცი წელი შეუსრულდა, იგი დაქორწინდა.

როგორც წესია, უფროსმა ვაჟიშვილმა ჩან-მომ არ მიატოვა თავისი ღრმადმოხუცი მშობლები და დარჩა მათთან საცხოვრებლად, რომ მშობლებს სიბერეში არ ჰქონოდათ საზრუნავი.

მალე შეირთო ცოლი უმცროსმა ძმამ ჩან-სუნმაც. დასახლდა სოფლის ბოლოში და დაიწყო ოჯახის მოწყობა. ადვილი არ იყო ეს მისთვის. როგორც იქნა აიშენა ქოხი. ხედავს: მიწა აქვს მოსახნავი, — გუთანი კი არა აქვს, გუთანი იშოვა — ხარის შესაძენად ფული აღარა აქვს. ხარი იყიდა,—მემამულეს ვეღარ გადაუხადა ღალა. ამასობაში ბავშვებიც შეეძინა.

მაგრამ ჩან-სუნი იყო შრომისმოყვარე: ყველა მეზობელზე ადრე მიდიოდა მინდორში სამუშაოდ და ბრუნდებოდა ყველაზე გვიან.

გაჭირვებით ცხოვრობდა უმცროსი ძმა, მაგრამ არც უფროსი იყო დალხინებული, მასაც უმძიმდა ცხოვრება. მას ხომ ცოლშვილის გარდა მოხუც მშობლებზედაც უნდა ეზრუნა. თუმცა ძმები ნახევრად შიმშილობდნენ, ბევრი ჰქონდათ საზრუნავი, მაგრამ ისინი მაინც ტკბილად ცხოვრობდნენ.

ერთხელ, შემოდგომაზე, ჩან-მომ გადაათვალიერა თავისი ბრინჯის მარაგი და გაიფიქრა: «არა მაქვს ბევრი ბრინჯი: სულ ათი ტომარა გამოვა, მაგრამ ჩან-სუს ხომ უფრო ნაკლები ჭირნახული მოუვიდა, იმას უნდა მივეხმარო, მაგრამ ისე, რომ ამის შესახებ მან არ იცოდეს». და როდესაც დაღამდა, ჩან-მომ მოიკიდა ზურგზე ყველაზე საუკეთესო ბრინჯით სავსე ტომარა და გასწია უმცროსი ძმის სახლისაკენ.

გზაზე შემოხვდა ვიღაც კაცი, მაგრამ სიბნელეში ვერ გაარჩია ვინ იყო.

დასდო ტომარა თავის ძმის სახლთან და გაეშურა უკან, გადასწყვიტა კიდევ ერთი ტომარაც მიეტანა.

დაბრუნდა ჩან-მო სახლში და ხედავს, რომ როგორც პირველად ჰქონდა ათი ტომარა, ისევ ათი ტომარა დარჩა. მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო, წამოიგდო მხრებზე კიდევ ერთი ტომარა და გასწია ძმისაკენ. უკან დაბრუნებისას გზაზე კვლავ შემოხვდა ვიღაც კაცი, მაგრამ სიბნელეში ვერ გაარჩია...

მობრუნდა სახლში, კვლავ იგივე ამბავი დახვდა: როგორც ჰქონდა ათი ტომარა, ისევ იმდენი დარჩა, ეს რა სასწაულია!

— რახან ასეა,—გადასწყვიტა ჩან-მომ —წავუღებ ძმას კიდევ ორ ტომარას!

და ხელახლა გაუდგა ნაცნობ ბილიკს სოფლის მეორე მხარეს.

ამ დროს ამოვიდა მთვარე, გაანათა ბილიკი და ყველაფერი ნათლად გამოჩნდა.

ოდნავ გასცდა ჩან-მო ნახევარ გზას, რომ დაინახა პირდაპირ მომავალი, ზურგზე ტომარამოკიდებული კაცი, ხოლო როცა მიუახლოვდა, ჩან-მომ იცნო თავისი უმცროსი ძმა.

— სად მიდიხარ ასე გვიან?—ჰკითხა ჩან-მომ.

— თქვენ სად მიდიხართ ამ დროს?—ჰკითხა ჩან-სუმ.

ძმები მიუხვდნენ ერთმანეთს და მხიარულად გადაიხარხარეს.

თურმე ჩან-სუმაც გადასწყვიტა დახმარებოდა ძმას და მისთვის გაენაწილებინა თავისი მოსავალი. ძმებმა ერთდროულად დაიწყეს ბრინჯით სავსე ტომრების ზიდვა ერთმანეთისათვის.

კიდევ ერთხელ გადაიხარხარეს ძმებმა და გადაეხვივნენ... ბრინჯით სავსე ტომრები თუმცა მძიმე იყო, ძმები სიმსუბუქეს გრძნობდნენ. რასაკვირველია, ძმური სიყვარული და მეგობრობა ყოველგვარ სიმძიმეს ამსუბუქებს!

თარგმნა **ნ. აკერმანმა**

# გოგონა ენ ხი

ცხოვრობდა ძველად ერთ სოფელში ქვრივი ქალი თავისი ქალიშვილით. გოგონას ენ ხი ერქვა.

ყველას უყვარდა ენ ხი. ის მუდამ მხიარული, ალერსიანი იყო და კარგ სიმღერებსაც მღეროდა. პატარა ტანისა იყო და მოფერებით მერცხალას, თაგუნიას და პეპელას ეძახდნენ.

მოუსავლიანი წლები იყო და საწყალი გლეხები იძულებული იყვნენ სათესლე ბრინჯი მემამულისაგან ესესხებინათ. ენ ხის დედამ ერთი საწყაო ბრინჯი მემამულისაგან ივალა. მთელი ზაფხულის განმავლობაში, დილიდან დაღამებამდე, მცხუნვარე მზის ქვეშ მუშაობდა დედა-შვილი. თავიანთ ნათესს უვლიდნენ. შემოდგომაზე მოსავალი აიღეს—ორი ტომარა ბრინჯი.

ათი საწყაო ბრინჯი მემამულემ ვალში წაიღო. დანარჩენი წაიღეს მეფის მოხელეებმა. მწუხარებისა და შიმშილისაგან ენ ხის დედა ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა.

მთელი დღეების განმავლობაში ენ ხი დაუღალავად დარბოდა კლდეებსა და ზღვის ნაპირებზე. აგროვებდა ფესვებს, წყალმცენარეებს და კიბოებს, ხარშავდა და თავის ავადმყოფ დედას აჭმევდა. ბალახებისა და კიბოებისაგან ენ ხი ცდილობდა რაც შეიძლება მრავალნაირი და უკეთესი საჭმელი მოემზადებინა, რომ დედა ნაკლებად დატანჯულიყო შიმშილისაგან.

მაგრამ აი, დაუბერა გრიგალმა, მძვინვარებდა ყინვა, თოვლმა დაფარა გარემო. მრისხანედ ბობოქრობდა გაავებული ზღვა და ნაპირებზე გადმოდიოდა. როგორც არ ცდილობდა ეხლა ენ ხი, მაინც ვერავითარ საჭმელს ვეღარ შოულობდა, მომაკვდავი დედისათვის წყალმცენარეების შეგროვებაც კი აღარ ხერხდებოდა.

მაშინ ენ ხიმ დედას უთხრა:

— ნუ სწუხარ, დედა, მე წავართმევ ჩვენს პურს მემამულეს. აუცილებლად წავართმევ, ჩვენ მან გაგვძარცვა.

— რას ლაპარაკობ, შვილო, შენ როგორ წაართმევ? მემამულის ეზოში შესვლაც კი შეუძლებელია.

— მოვიფიქრებ, როგორ მოვახერხო,—უპასუხა ენ ხიმ.

მოიფიქრა კიდეც. გაიქცა ენ ხი მემამულესთან, დაუწყო ხვეწნა, მოსამსახურედ ამიყვანეო.

რის გაკეთება შეგიძლია? ვერც კი გხედავ, მანდ სადა დგახარ და ვინა ხარო, აბურტყუნდა მემამულე, გოგონას თხოვნა რომ მოისმინა.

მემამულე, რომელსაც სანს ეძახდნენ, რაც ზვინსა ნიშნავს, მართლაც ვერა ხედავდა ენ ხის, ის ძალიან მსუქანი იყო და ვეებერთელა ღიპი ჰქონდა, ამიტომ გაჭირვებით შეეძლო თავის დახრა და თუ დახრიდა, თავის მუცლის გარდა ვერაფერს ხედავდა. გოგონა ენ ხი კი მუდმივი შიმშილისაგან ძალიან გამხდარი იყო და ისეთი პატარა, რომ მიწას არ აჩნდა.

— თუმცა პატარა ვარ, შემიძლია ძალიან გემრიელი პურები გამოვაცხო, მოვამზადო მრავალნაირი საჭმელები... მე ენ ხი ვარ.

მემამულეს გაეცინა.

— «მე ენ ხი ვარ»,—გააჯავრა გოგონას,—დამიხედეთ, როგორი დიდი ვინმე ყოფილა! თქვენ ბალახსა ჭამთ და სად უნდა გესწავლა გემრიელი საჭმელების გაკეთება?!

მაგრამ ენ ხიმ ისე ცხარედ დაიწყო ლაპარაკი საჭმელებზე, რომელთა დამზადებაც მას შეეძლო, რომ მდიდარ მემამულეს სქელ ტუჩებზე ნერწყვი ჩამოუვიდა, ჭამაც კი მოუნდა. მერე როგორ უყვარდა ჭამა! სოფელში ყველამ იცოდა ეს.

— ვისაც პური მოჰყავს, პურის გამოცხობაც იმან იცის. მე ყველაფერი დედაჩემისგან ვისწავლე. მიმიღეთ მოსამსახურედ და დაინახავთ, როგორ ვიცი პურის გამოცხობა,—ემუდარებოდა გოგონა,— მე კიდევ ჩქარი სირბილი ვიცი, როგორც ელვამ ღრუბლებში. კიდევ ვიცი ხარშვა.

— კარგი, დაგაყენებ სამუშაოზე, მაგრამ არ გაბედო და ჩემი პური დედაშენს არ წაუღო, — უთხრა მემამულემ და მოსამსახურეებს უბრძანა, გოგონა სამზარეულოში წაეყვანათ.

ენ ხი ძლიერ ცდილობდა ესიამოვნებინა მემამულისათვის და როგორ საჭმელებს აღარ უმზადებდა! სალათას, თევზეულს, დაკეპილ ბოლოკს, ქადებს, შემწვარ ვაშლებს...



ენ ხი აგროვებდა ფესვებს, წყალმცენარეებს და კიბოებს, ხარშავდა და თავის ავადმყოფ დედას აჭმევდა.

გამოაცხო კარგად გაფუებული, ფუნთუშა პური— ისეთი სურნელოვანი, რომ მშიერ ხალხს მისი სუნით თავბრუ ეხვეოდა.

მემამულე სანმა გასინჯა ენ ხის მომზადებული საჭმელი. თავის მსხვილი თითები ჩაილოკა. «გოგონა პატარაა, საჭმელების მომზადება კი კარგად სცოდნია!—გაუკვირდა მას.—მოდი, ავიყვან მზარეულად, საჭმელიც ცოტა მოუნდება ასეთ პატარას».

ენ ხი დადგა მემამულესთან მოსამსახურედ. მეორე დღეს სადილი მოამზადა და ჩაფიქრდა, როგორ წაეღო პური დედისათვის? თუ პურს ყუას მოაჭრიდა, შეემჩნეოდა. წაღება კი აუცილებელი იყო—დედა შიმშილით უკვდებოდა. მან მოიფიქრა და რამდენიმე ლავაშივით თხელი პური გამოაცხო. სრულიად თხელი, გოგრა ხაბაკ-ნიბის ფოთლების მსგავსი.



— თუმცა პატარა ვარ, შემიძლია ძალიან გემრიელი პურები გამოვაცხო...

როცა დაბინდდა ენ ხიმ გოგრის ფოთლებში შეახვია ლავაშივით პური. დამალა და საჩქაროდ მოჰკურცხლა სახლისაკენ. დედამ პური შეჭამა და უკეთ გახდა. ყოველ დღე მიჰქონდა შინ ენ ხის ერთი პატარა პური. დედა ნელ-ნელა მომჯობინდა მაშინ ენ ხიმ დაიწყო სტუმრობა ყველაზე ღარიბ მეზობლებთან და მათთვისაც მიქონდა ხოლმე გოგრის ფოთლებივით თხელი პურები.

მეორე წელს გლეხებმა ისევ ისესხეს ბრინჯი მემამულისაგან სათესლედ და დათესეს თავიანთ მიწის ნაკვეთებზე.

დადგა მოსავლის აღების დრო. იმ წელს კარგი მოსავალი მოვიდა, მაგრამ გლეხებმა იცოდნენ, რომ მემამულე მაინც წაართმევდა მთელ მოსავალს და კვლავ უნდა ეშიმშილნათ, კვლავ უნდა დასესხებოდნენ მემამულეს და ვალში ათჯერ მეტი ბრინჯი უნდა ჩაებარებინათ. მაშინ მოილაპარაკეს და ცოტა მარცვლეული გადაინახეს სათესლედ და საჭმელად. გოგონა ენ ხიმ კი ყველა დიასახლისს ასწავლა გოგრის ფოთლების მსგავსი პურის გამოცხობა.

ხარბი მემამულე სანი ფიქრობდა: «როგორ მოხდა ეს. მთელი მოსავალი მე წამოვიღე, გლეხები კი არ მოდიან, ქედს არ იხრიან და არ მთხოვენ თუნდაც ცოტაოდენი მარცვლეული მაინც ვასესხო. ხშირად მხიარულ სიმღერასაც კი მღერიან. მაშასადამე, არ შიმშილობენ!»

მან გადაწყვიტა თვალყური ედევნებინა გლეხებისათვის. მსახურები გაგზავნა სათვალთვალოდ, რათა მათ გამოერკვიათ რას ჭამდნენ გლეხები. მაგრამ რამდენსაც არ უთვალთვალებდნენ —გლეხების სახლში პური არ დაუნახავთ.

მაშინ მემამულე სანს მოაგონდა გოგონა ენ ხი და მისი სიტყვები,—ჩქარი სირბილი ვიციო.

დაუძახა ენ ხის და უთხრა:

— გაიქეცი სოფელში და ნახე ერთი, რას ჭამენ გლეხები, გაიგე რატომ არ მოდიან ჩემთან და ახალ მოსავალზე პურს არ მესესხებიან, მე ხომ კეთილი ვარ და ყველას ვშველი.

ენ ხიმ მთელი სოფელი რომ შემოირბინა, დაბრუნდა მემამულესთან, დაღვრემილი სახე მიიღო და უთხრა:

— ჩემო ბატონო, გლეხები მხოლოდ გოგრის ფოთლებსა ჭამენ.

— როგორ შეიძლება საზრდოობა მარტო ფოთლებით?

არ დაუჯერა მემამულემ და გადაწყვიტა თვითონ ენახა. მალვით წავიდა სოფელში, იხედებოდა ღარიბ ქოხებში, მაგრამ ნახა, რომ ყველგან გლეხები გოგრა ხაბაკ-ნიბის ფოთლებსა ჭამდნენ.

მემამულე ჯავრობდა, გლეხებს კი უხაროდათ; მათ დიდი გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ სათესლე მაინც გადაინახეს.

მას შემდეგ კორეელი გლეხები გოგრის ფოთლების მსგავს პატარა პურს აცხობენ, რათა მემამულეებმა არ დაინახონ და არ წაართვან.

ასე ცხოვრობდნენ: პური მოჰყავდათ, აშკარა ჭამისა კი ეშინოდათ.

ყველაფერი ეს ძველ დროში იყო, მაგრამ გოგონა ენ ხის ამბავს ახლაც ჰყვებიან მოხუცები.

თარგმნა მ. კანდელაკმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზუსტად დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები

საბჭოთა კავშირის გმირი, სახელმოხვეჭილი მფრინავი ვალერი ჩკალოვი წერდა:

„ყოველგვარი გამბედაობა კეთილშობილი საქმე როდია, ჩვენი სამშობლოსათვის საჭიროა გულადი ადამიანები, მაგრამ ვაჟკაცობის გამოჩენა როდი შეიძლება ტრამვაის საფეხურზე. ამისათვის უფრო კარგი საშუალებები არსებობს.

ხელი მოჰკიდეთ სპორტის სხვადასხვა სახეს: იარეთ თხილამურებით, იქროლეთ ციგურებით, ისწავლეთ ხტომა, ცურვა და სხვა“.

სამწუხაროდ ხშირად დაინახავთ ზოგიერთ მოსწავლეს, რომელიც გაქანებულ ტრამვაისა და ავტომანქანას მისდევს, ცდილობს შეახტეს მას და ამით მოიხვეჭოს „გმირის“ სახელი, მაგრამ ეს გმირობა ხომ, ყველასათვის ცხადია, რომ ყალბია!

ტრამვაის საფეხურზე ახტომა-ჩამოხტომა, ავტომანქანის გამოკიდება — ეს არის გზა არა გმირობისაკენ, არამედ ინვალიდობისაკენ, ხეიბრობისაკენ.

კულტურისა და ტექნიკის ზრდასთან ერთად ქუჩაში ტრანსპორტის მოძრაობა თანდათან მატულობს. ეს გარემოება კი ხიფათს უქმნის იმ მოქალაქესა თუ ბავშვს — მოსწავლეს, პიონერს, რომელმაც კარგად არ იცის მოძრაობის წესები და იმასაც, ვინც კარგად იცის მოძრაობის წესები, მაგრამ ზუსტად არ იცავს მათ. ეს წესები კი სულ ადვილად დასამახსოვრებელია. საჭიროა ამ წესების ცოდნა და მეტი ყურადღება ქუჩაში სიარულის დროს. მოძრაობის წესების ცოდნა ყველა საბჭოთა მოქალაქესთან ერთად სავალდებულოა პიონერ-მოსწავლეთათვის. აი, ეს წესები:

1. იარეთ მხოლოდ ტროტუარზე, მარჯვნივ. იმ შემთხვევაში თუ არ არის ტროტუარი, იარეთ გზის მარცხენა მხარეზე ისე, რომ ხედავდეთ პირდაპირ მომავალ ტრანსპორტს. (იხ. სურ. 1)

2. გადადით ქუჩაზე მხოლოდ გზაჯვარედინზე — ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებზე, ან იმ ადგილზე, სადაც ნიშანსვეტია წარწერით „გადასასვლელი“. (იხ. სურ. 3).

3. ქუჩაზე გადასვლისას გაიხედეთ მარცხნივ, ხოლო როცა შუამდე მიხვალთ — გაიხედეთ მარჯვნივ (იხ. სურ. 7).

4. გზა დაუთმეთ ტრანსპორტს — ნუ დაელოდებით სიგნალს. გახსოვდეთ, რომ მოძრავი ტრანსპორტის ერთბაშად გაჩერება შეუძლებელია. (იხ. სურ. 13).

5. ქუჩაში, გზაჯვარედინზე გადასვლისას ყურადღება მიაქციეთ შუქნიშანის სიგნალებს. (იხ. სურ. 2 ა, 2 ბ, 2 გ.):

2 ა) მწვანე სინათლე გვიჩვენებს, რომ მოძრაობა ნებადართულია. ამასვე გვიჩვენებს საგუშაგოზე მდგარი მორეგულირე მილიციელის მარჯვენა და მარცხენა მხარე.

2 ბ) ყვითელი სინათლე გვაფრთხილებს: ყურადღება! ყვითელი სინათლე ეს იგივეა, რაც მილიციელის მიერ ვერტიკალურად აღმართული კვერთხი.

2 გ) წითელი სინათლე გვიჩვენებს, რომ მოძრაობა აკრძალულია. ამასვე გვიჩვენებს საგუშაგოზე მდგარი მორეგულირე მილიციელის ზურგის და მკერდის მხარე.

6. ნუ შეგროვდებით ქვაფენილზე, ამით ხელს უშლით ხალხის ნორმალურ მოძრაობას (იხ. სურ. 15)

7. წინიდან ნუ გადაურბენთ მიმავალ ტრანსპორტს (იხ. სურ. 14)

8. ნუ ითამაშებთ და ნუ იციგურავებთ ქუჩის იმ ადგილას, სადაც ტრანსპორტი მოძრაობს (იხ. სურ. 5 და 11).

9. ნუ გამოეკიდებით მიმავალ ტრანსპორტს, ნუ შეახტებით ტრამვაის, ტროლეიბუსსა და ავტომანქანას (იხ. სურ. 8, 10).

10. დაელოდეთ ტრამვაის, ტროლეიბუსს და ავტობუსს ტროტუარზე, მხოლოდ და მხოლოდ — ტრანსპორტის გაჩერების ადგილას (იხ. სურ. 4).

11. გაჩერებულ ტრამვაის შემოუარეთ მხოლოდ წინიდან, უკანიდან შემოვლის დროს შესაძლოა ვერ შეამჩნიოთ შემხვედრი, მოპირდაპირე მხარიდან მომავალი ტრამვაი. (იხ. სურ. 12).

12. ავტობუსს და ტროლეიბუსს შემოუარეთ მხოლოდ უკანიდან (იხ. სურ. 9).

ქუჩაში მოძრაობის წესები — ეს არის უშიშროების წესები, ამიტომ ყოველმა პიონერ-მოსწავლემ ზუსტად უნდა დაიცვას იგი.

ბავშვებო! გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას და თქვენს სიცოცხლეს!

**ვლ. ნავრუზაშვილი**
მილიციის პოდპოლკოვნიკი

---

* გარეკანის მე-4 გვერდზე იხილეთ ამ წერილთან დაკავშირებული სურათები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ვიკითხოთ

## სურათები ახალი ჩინეთის ცხოვრებიდან

დიდ ჩინელ ხალხს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე აყვავებას განიცდიდა ჩინური ფილოსოფია, ლიტერატურა, არქიტექტურა და მეცნიერების მრავალი დარგი. საუკუნეთა განმავლობაში ჩინელი მშრომელი ხალხი ადგილობრივი ბატონებისა და გარეშე მტრების უღელქვეშ იყო.

მხოლოდ 1949 წელს, როცა ჩინეთში რევოლუციამ გაიმარჯვა და ქვეყანას კომუნისტური პარტია ჩაუდგა სათავეში, ჩინეთის მშრომელ მასებს მიეცათ განვითარებისა და წინსვლის არნახული პირობები.

საბჭოთა ქვეყნის მეგობრული დახმარებითა და ხელშეწყობით ჩინეთის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სწრაფად წავიდა წინ. ჩინელი ხალხი ხარბად დაეწაფა კულტურისა და მეცნიერების იმ მონაპოვარს, რომელსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია. ჩინელი ადამიანი გათავისუფლდა ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან და აქტიურად ჩაება სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ჩინელი ხალხი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა იაპონელი იმპერიალისტებისა და გომინდანელების წინააღმდეგ. იგი იბრძვის ჩან კაიშის ბანდების მესამუსრავად და ძმურ დახმარებას უწევს ამერიკელ ინტერვენტთა წინააღმდეგ მებრძოლ გმირ კორეელ ხალხს.



გაიფურჩქნა და აყვავდა სახელოვანი ტრადიციების მქონე ჩინური ხელოვნება. თანამედროვე ჩინური ლიტერატურა დგას თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის სამსახურში. იგი იბრძვის მასების კომუნისტური იდეებით აღზრდისა და ძველის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის.

„საბლიტგამმა" გამოსცა ჩინელი პროგრესული მწერლების მოთხრობათა წიგნი; მათში მოთავსებულია ახალი ჩინური მოთხრობები, მათი გაცნობა ნათელ სურათს გვაძლევს, თუ როგორ ცხოვრებას ქმნის ახალი ქვეყნის მუშა და გლეხი, ჯარისკაცი და ინტელიგენტი. ამ მოთხრობებიდან ჩანს ჩინელი ხალხის ბევრი დამახასიათებელი თავისებურება და ჩინელი ადამიანის შესანიშნავი თვისებები. ლუ სინის, ჩაო შუ-ლის, ლუ ბაი-იუს, მაო კანის და სხვათა მოთხრობებში თქვენ დაინახავთ თითქმის მთლიანად ახალ სამყაროს თავისი ბუნებითა და ხალხით აქ არის ძველი და ახალი ჩინეთის სურათები და ყველა მათგანში ნათლად ჩანს ძველის, დრომოჭმულის უდღეურობა, ახლის სიძლიერე და სიცოცხლისუნარიანობა.

ამ მოთხრობების წაკითხვა დაგვეხმარება, — მნიშვნელოვნად გავზარდოთ ჩვენი ცოდნის ჰორიზონტი და გავამდიდროთ ჩვენი გონება ახალი ამბებით დიდი ჩინელი ხალხის შესახებ.

ნოდარ ჩხეიძე

## ვ. გორგანელის საბავშვო ლექსები

„საბლიტგამმა" გამოსცა ვ. გორგანელის საბავშვო ლექსების წიგნი — „ნოდარის ოცნება". ამ წიგნში პოეტი უმღერის საბჭოთა ბავშვების ბედნიერსა და შინაარსიან ცხოვრებას, გვიჩვენებს ბავშვების მძიმე, მათხოვრულ მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ხალხთა საყვარელი ბელადი და დიადი კომუნისტური პარტია, საბჭოთა სამშობლო და ლენინური კომკავშირი, განახლებული საბჭოთა ქალაქი და სოფელი, მშობლიური სკოლა და მასწავლებლები, მშვიდობა და პიონერული ხანძრული.. აი, ვ. გორგანელის წიგნის თემები.



კრებულში მოთავსებული ლექსებიდან ყურადღებას იპყრობს: „ბედნიერების აკვანი", „აქ ცხოვრობდა კალინინი", „საყვარელ ძერხთან", „ნოდარის ოცნება", „მომავალი მშენებლები" და „მშვიდობა".

წიგნში მოთავსებულია პოემები: „მშვიდობის მტრედი" და „და-ძმა"; აგრეთვე ზღაპარი „ოქროგულა". პოემაში „და-ძმა" აღწერილია ერთი ეპიზოდი დიდი სამამულო ომიდან; მასში დახატულია მამაცი, მოხერხებული პიონერები. პოემაში „მშვიდობის მტრედი" ასახულია ზანგი ბავშვების დუხჭირი ცხოვრება ამერიკაში.

ვ. გორგანელის საბავშვო ლექსებს ინტერესით წაიკითხავენ პიონერ-მოსწავლეები.

ი. ფეიქრიშვილი

## ექიმის საუბარი

# დასვენების რეჟიმი არდადეგების დროს

ახლახან დამთავრდა სასწავლო წელი. საზაფხულო არდა-
დეგებს ზოგი თქვენგანი ატარებს აგარაკზე, ზოგი — პიონერ-
ბანაკში, სანატორიუმში, გამაჯანსაღებელ მოედანზე, სოფლად.
ზაფხულში კარგად უნდა დაისვენოთ, რომ მომავალ სასწავ-
ლო წელს კიდევ უფრო ნაყოფიერად, წარჩინებით ისწავლოთ.
ზაფხული შესანიშნავი დროა დასასვენებლად თუ მას გონივ-
რულად გამოიყენებთ, თუ დაიცავთ დასვენების რეჟიმს. რა
არის საჭირო იმისათვის, რომ ზაფხული ნაყოფიერად გამოი-
ყენოთ დასვენებისათვის.

ყოველმა მოსწავლემ წინასწარ უნდა შეადგინოს დასვენების გეგმა-განრიგი და გაითვალისწინოს მასში ყოველი აუცილებელი პირობა, რომელიც საჭიროა დასვენებისათვის.

განრიგის პირველ მომენტად უნდა გაითვალისწინოთ გაღვიძება და ადგომა დილით. თუ სასწავლო წლის პერიოდში თქვენ დგებით დილის 7 საათზე, ახლა შეიძლება უფრო გვიან — 8 საათზე ადგეთ. მხოლოდ უნდა გახსოვდეთ, რომ ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს უნდა იღვიძებდეთ და დგებოდეთ.

ადგომის შემდეგ უნდა ჩაატაროთ 10 წუთიანი დილის ვარჯიში, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს ორგანიზმის ცხოველმოქმედებას, მატებს ადამიანს სიმხნევეს, ენერგიას და ძალ-ღონეს, ხდის მას სიცოცხლით სავსეს და ამტანს.

ვარჯიშის დროს უნდა გეცვათ მსუბუქი ფეხსაცმელები, ტრუსი და მაისურა. ტანვარჯიში უნდა ჩაატაროთ ფანჯრებგაღებულ ოთახში, აივანზე, ხოლო თუ ცუდი ამინდი არ არის, — ეზოში.

დილის ტანვარჯიშის შემდეგ ხელ-პირის დაბანასთან ერთად სასარგებლოა ტანის დაზელა სველი ტილოთი. ტანის დაზელა ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აკაჟებს ორგანიზმს და აძლიერებს მის დამცველობით უნარს დაავადებისაგან.

ტანვარჯიში, ტანის დაზელა და ხელპირის დაბანა უნდა დაამთავროთ დაახლოებით 30 წუთში. ამის შემდეგ ისაუზმებთ. საუზმისათვის საჭიროა 20-25 წუთი. გახსოვდეთ, რომ როგორც პირველი, ისე მეორე საუზმე, სადილი და ვახშამი უნდა ჭამოთ ყოველთვის ერთსადა იმავე დროს, რადგან კვების რეჟიმის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისათვის. საკვები უნდა მიიღოთ დღეში ოთხჯერ, სახელდობრ: პირველი საუზმე დილის 8 $^1/_2$-9 საათზე, მეორე საუზმე — $12^1/_2$ საათზე, სადილი $3^1/_2$-4 საათზე და ვახშამი — 7-8 საათზე. ამრიგად, შუალედი საკვების მიღებათა შორის 3 — 4 საათი ზუსტად უნდა დაიცვათ.

პირველი საუზმის შემდეგ შეგიძლიათ ისარგებლოთ ჰაერისა და მზის აბაზანებით.

ჰაერისა და მზის აბაზანები ძლიერ სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის, ამაგრებს ნერვულ სისტემას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს ნორმალურ ძილს. მზის აბაზანების მისაღებად ყველაზე კარგი დროა დილის 11-13 საათი. პირველი აბაზანის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 8 წუთს. აბაზანის დროს ყოველ 2 წუთში უნდა შებრუნდეთ, ისე რომ გულმკერდს, გვერდებს და ზურგს მზე ასხივებდეს 2 - 2 წუთით. შემდეგი აბაზანების ხანგრძლივობა შეიძლება ყოველდღიურად გაადიდოთ დღეში 4-4 წუთით, სანამ 25-30 წუთამდე ახვიდოდეთ. მზის აბაზანის მიღებისას თავი დაიფარეთ თეთრი თავსაფრით ან ქოლგით. მზის აბაზანის შემდეგ კარგია წყლის გადავლება ტანზე, რომელიც სწრაფად უნდა შეიმშრალოთ და ჩაიცვათ. დაუშვებელია მზის აბაზანის მიღება უზმოზე, ან ჭამის შემდეგ 1 საათზე ადრე. იმ
შემთხვევაში, თუ მზის აბაზანებმა ცუდად იმოქმედოს — და-
გეწყოთ თავბრუსხვევა, უძილობა, უმადობა ან საერთო სი-
სუსტე, აბაზანები შეწყვიტეთ და მიმართეთ ექიმს რჩევა-და-
რიგებისათვის.

12-$12^1/_2$ საათზე ისაუზმეთ მეორედ. მეორე საუზმის შემდეგ — სადილობამდე დაახლოებით ერთი საათით შეიძლება გაერთოთ სპორტული ვარჯიშითა და თამაშობებით ჩრდილში, ხოლო ამის შემდეგ სასურველია წაიკითხოთ მხატვრული ლიტერატურა.

გახსოვდეთ, რომ ზაფხულში იქ, სადაც არ იცავენ სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს, ხშირია კუჭის აშლა და დაავადებათა გავრცელება. ამიტომ საჭიროა ჭამის წინ დაიბანოთ ხელები საპნით, შეინახოთ საკვები პროდუქტები თავდახურულ სუფთა ჭურჭელში, არ ჭამოთ მოძველებული პროდუქტები, გაურეცხავი ბოსტნეული და ხილი.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სასმელი წყლის წესიერად მიღებას, რადგან ზაფხულში, როდესაც ადამიანი მოძრაობს, მუშაობს ბაღ-ბოსტანში, გართულია რაიმე სპორტული თამაშობითა და ვარჯიშით, — ორგანიზმი დიდი რაოდენობით ჰკარგავს სითხეს ოფლის სახით, ხოლო ოფლთან ერთად მარილებს, რაც აუცილებელია ორგანიზმის ცხოველმოქმედებისათვის. ზოგჯერ ადამიანს, რომელიც გართულია რაიმე საქმიანობით, ავიწყდება თავის დროზე წყლის დალევა, რის შედეგადაც ორგანიზმი ღარიბდება წყლითა და მარილით, ამას ხშირად მოსდევს ორგანიზმის გადახურება, გულის წასვლა, სისუსტე, ზოგჯერ კუჭის აშლაც კი. ამიტომ წყალი თავის დროზე უნდა დალიოთ. კარგია, თუ ზაფხულში, ქარბად ოფლის დენისას. წყალში მარილს განაზავებთ — დაახლოებით 1 ჩაის ჭიქა წყალში ერთ გრამ მარილს. მარილიანი წყალი, გარდა იმისა, რომ აანაზღაურებს ოფლთან ერთად დაკარგული მარილის რაოდენობას, ნაწილობრივ შეამცირებს წყურვილის გრძნობასაც.

სადილისა და დასვენების შემდეგ, დაახლოებით 5-6 საათიდან, როდესაც უკვე მზე ძლიერ აღარ აცხუნებს, კარგია ბაღ-ბოსტანში მუშაობა, სპორტული თამაშობებითა და ვარჯიშით გართობა, გასეირნება კოლმეურნეობაში, სამანქანოსატრაქტორო სადგურებში, ან სხვა საინტერესო ადგილებში წასვლა, იმის მიხედვით, თუ რა გაქვთ გათვალისწინებული გეგმით.

საღამოს 7—8 საათზე უნდა ივახშმოთ და შეუდგეთ სამზადისს ძილისათვის. უნდა დაიბანოთ ფეხები, რაც ორგანიზმის გამოწრთობის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა. დაიბანეთ ხელპირი საპნით, გაიწმინდეთ კბილები ჯაგრისითა და ფხვნილით. დაწოლამდე დარჩენილი დროის განმავლობაში შეგიძლიათ მოუსმინოთ რადიოს, წაიკითხოთ მხატვრული ლიტერატურა, გაისეირნოთ ჰაერზე ან წყნარი თამაშით გაერთოთ.

ძილი დასვენების ერთ-ერთი კარგი საშუალებაა, ძირითადად ამ დროს ხდება დახარჯული ენერგიის აღდგენა. ამიტომ მტკიცედ უნდა დაიცვათ ძილის ჰიგიენური წესები, ყოველთვის ერთსადა იმავე დროს წვებოდეთ. სასურველია, ამთავითვე შეეჩვიოთ გარეთ — აივანზე ძილს, ყოველ შემთხვევაში, თუ ღამით ოთახში დაიძინებთ, მაშინ ფანჯრები ღია უნდა იქნეს თითქმის მთელი ღამის განმავლობაში.

ზ. კოვზირიძე,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე

## ექვსი წლის მუსიკოსი

კრიმსკაიაში (კრასნოდარის მხარე) მიქოიანის სახელობის საკონსერვო კომბინატის ზეინკალმა ამხ. უსტინოვსკიმ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროდან მიიღო ცნობა, რომ მისი შვილი, ექვსი წლის ვალოდია ჩარიცხულია ლენინგრადის კონსერვატორიის მუსიკალურ სკოლა-ათწლედში.

ვალოდია უსტინოვსკიმ ოთხი წლისამ ისწავლა ორმწკრივი გარმონის დაკვრა. ერთი წლის შემდეგ იგი ზეპირად ასრულებდა 60 სხვადასხვა სიმღერასა და 20 საცეკვაოს.

კრასნოდარის მუსიკალურ სასწავლებელში ყურადღება მიაქციეს ბავშვის განსაკუთრებულ ნიჭს. ამას წინათ თვალსაჩინო მუსიკოსებმა და კომპოზიტორებმა შეამოწმეს მისი მუსიკალური ნიჭი. ვ. უსტინოვსკიმ შეასრულა ათზე მეტი ნაწარმოები, მათ შორის საკუთარი თხზულება „ყუბანური ვალსი“.

ახლა ვალოდია ემზადება მუსიკალურ სკოლა-ათწლედში მეცადინეობისათვის.

## ძველი ჩინური სეისმოგრაფი

820 წლის წინათ, 1132 წელს უდიდესმა ჩინელმა მეცნიერმა და ასტრონომმა ჩან ხენმა გამოიგონა მსოფლიოში პირველი სეისმოგრაფი. სეისმოგრაფი შედგებოდა თითბრის კორპუსისაგან, რომელზედაც გარედან რვა ურჩხული იყო მიმაგრებული და თითოეულ მათგანს პირში თითო სპილენძის ბურთულა ედო. ურჩხულების ქვეშ შესაბამისად რვა ხახადაღებული ბაყაყი იყო მოთავსებული. ურჩხულებს თავში ბერკეტები ჰქონდათ, რომლებიც ყბებს მოკუმულ მდგომარეობაში აკავებდნენ. ბერკეტების ბოლოები თავს იყრიდა ვერტიკალურ ქანქარასთან. ქანქარა ისე იყო მოწყობილი, რომ განსაკუთრებულ მგრძნობელობას იჩენდა დედამიწის ზედაპირის რყევისადმი. მიწისძვრა ბიძგების დროს ის იხრებოდა იქით, საითაც მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა და აწვებოდა ბერკეტს, რომელიც აიძულებდა ერთ-ერთ რომელიმე ურჩხულს პირი დაეღო და მაშინ სპილენძის ბურთულა ურჩხულის ხახიდან ბაყაყის პირში ვარდებოდა.

სამწუხაროდ, უძველეს ჩინურ სეისმოგრაფს დღემდე არ მოუღწევია.

1951 წელს ჩინელმა მეცნიერებმა აღადგინეს ჩან ხენის გამოგონება მისი ბიოგრაფების ჩანაწერების მიხედვით.



## მეგობრობის კოცონი

დოლმა და საყვირმა, წკრიალა პიონერულმა სიმღერებმა აახმიანეს 20 ივნისს გორის ქუჩები, ლიახვის პირას მდებარე ბაღი და რკინიგზის სადგური. ამ დღეს დიდი ზეიმი ჰქონდათ გორელ პიონერებს. მათ ძვირფასი სტუმრები ეწვივნენ — მოსკოველი და სტალინგრადელი ნორჩი მოგზაურები.

თაიგულებითა და გულთბილი შეძახილებით შეეგებნენ გორელი პიონერები თავიანთ სტუმრებს. გააცნეს მშობლიური ქალაქი, ესაუბრნენ სასწავლო-პიონერულ საქმიანობაზე.

მოსკოველმა ნორჩმა მოგზაურებმა ძაუჯიკაუდან ჯავამდე ფეხით იარეს. გორელი პიონერები ყურადღებით უსმენდნენ მათ ნაამბობს როკის გადასასვლელზე და ცის მყინვარზე ლაშქრობის შესახებ.

სტალინგრადელმა პიონერებმა: საშა სივიცკიმ, ოლეგ კალესნიკოვმა, იგორ ემელიანოვმა, ვიქტორ კუზიშკინმა და სხვებმა გორელ და თბილისელ პიონერებს აუწერეს ლეგენდარული დიდების ქალაქი სტალინგრადი. სულ მალე, სულ მცირე ხანში დამეგობრდნენ ქართველი და რუსი პიონერები. ახალმა მეგობრებმა ერთმანეთის მისამართი ჩაიწერეს და პირობა დასდეს; რომ მეგობრობას მიწერ-მოწერით განამტკიცებენ.

საღამოთი ძვირფასი სტუმრები მასპინძლებმა გორის ციხეზე პიონერულ კოცონთან მიიპატიჟეს, ფოტოსურათი გადაიღეს ერთად, ახალი წარმატებები უსურვეს ნორჩ მოგზაურებს. ისმოდა სიმღერები და მჟღერი ქარე პიონერული «ვაშა».

დიდხანს ეხსომებათ მოსკოველ, სტალინგრადელ და გორელ პიონერებს მეგობრობის კოცონი.

## ელექტროცული

გარეგნულად ეს ცული ჰგავს პერფორატორს, რომლის ცილინდრულ კორპუსში მოთავსებულია ელექტროძრავა და დამრტყმელი მექანიზმი. ცულის პირი შეზნექილია და თევზის კუდს წააგავს.

რისთვისაა საჭირო ასეთი ცული?

ყველამ, ვინც ტყის დამზადების საქმიანობას იცნობს, იცის თუ რამდენ დროს ხარჯავს ტყისმჭრელი წაქცეული ხის ტოტების ჩამოსასხეპად. ამ პროცესის მექანიზაცია ელექტროხერხის გამოყენებით არაფრით არ მოხერხდა. იმიტომ რომ ამას შეიძლება გამოეწვია უბედური შემთხვევები. შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ცულის გამოყენება.

გამომგონებელ ს. ა. ბოგატიროვის მიერ შექმნილ ელექტროცულს აქვს რამდენიმე შემცველელი პირი, რომელთაც იყენებენ იმის მიხედვით, თუ რა ჯიშის ხესთან აქვთ საქმე. ელექტროცულით მუშაობა სრულიად არ ჰგავს ტყისმჭრელის ჩვეულებრივ მუშაობას. ამ დროს საჭირო არ არის ცულის მაღლა აწევა და მთელი ძალით მოქნევა. ტყისმჭრელი ერთი ხელით იმარჯვებს ელექტროცულის სახელურს, მეორე ხელით კი მიმართულებას აძლევს ცულს, აწვება მას და დამრტყმელ მექანიზმთან შეერთებული მჭრელი პირი, აკეთებს რა წუთში 4—5 დარტყმას, სწრაფად ჭრის, თითქმის «პარსავს» ხის ტოტებს.

ელექტროცული ზრდის შრომისნაყოფიერებას და მნიშვნელოვნად აადვილებს ტყისმჭრელის საქმიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა






## შინაარსი

გვ.

**ვლადიმერ მაიაკოვსკი** — ჩვენი პარტია (ნაწყვეტი პოემიდან „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი". თარგმნა ირაკლი აბაშიძემ . . . . . . . . . . . . . . . . გარეკ. 2

**ბესარიონ ჟღენტი** — საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი (წერილი) . . . . . 2

**ნაზი კილასონია** — შენი ხმა და შენი ცეცხლი (ლექსი) . . . . . . . . . 6

**მამია ახათიანი** — ბერდანა (ნაწყვეტი მოთხრობიდან „მაიაკოვსკის ყრმობა") . . . . . 7

**არკადი გაიდარი** — კვამლი ტყეში (მოთხრობა, თარგმნა ბ. შელიამ). . . . . . . . 10

**ზურაბ ჭუმბურიძე** — პიონერული ბანაკის დღე (ნარკვევი) . . . . . . . . . 15

**კალე ბობოხიძე** — საბანაკო სიმღერა (ლექსი) . . . . . . . . . . . 18

**მურმან ლებანიძე** — გრიცკო (მოთხრობა) . . . . . . . . . . . . . 19

კორეული ზღაპრები — (ძმები, თარგმნა ნ. აკერმანმა; გოკონა ენ ხი, თარგმნა მ. კანდელაკმა) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 25

**ვლ. ნავრუზაშვილი** ზუსტად დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები (წერილი) . . . . . 28

**ნოდარ ჩხეიძე** — სურათები ახალი ჩინეთის ცხოვრებიდან (წერილი) . . . . . . . 29

**ი. ფეიქრიშვილი** — ვ. გორგანელის საბავშვო ლექსები (წერილი) . . . . . . . 29

**ზ. კოვზირიძე** — დასვენების რეჟიმი არდადეგების დროს (ექიმის საუბარი) . . . . . 30

მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . . . . . . . . . . 31

ჭადრაკი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გარეკანის 3

გასართობი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . „ „ 3

გარეკანის პირველ გვერდზე: **„ვლადიმერ მაიაკოვსკი"** — ნახატი ალ. ვეფხვაძისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: რ. სტურუას, ალ. ბანძელაძის, კ. მახარაძის, გ. თოთიბაძის და ი. გაბაშვილის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

„ПИОНЕРИ" Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии Июль, № 7, 1953, Тбилиси Ленина 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

უე 04456 ტირაჟი 15.000 გამოწ. შეკვ. № 270 სტამბის შეკვ. № 835. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი".




ოსტატობის კანდიდატ თ. გიორგაძის რედაქციით

## ჭადრაკის ნორჩი კომპოზიტორები

**ამოცანა**
ალექსანდრე ფარცვანია
(ქ. ზუგდიდი)



შამათი 3 სვლაში

ბავშვებო! ამოხსენით ჭადრაკის ნორჩი კომპოზიტორების მიერ შედგენილი ამოცანა და ეტიუდი და პასუხები გამოგვიგზავნეთ ჟურნალ „პიონერის“ რედაქციაში.

* *

**ეტიუდი**
გელა გელაძე
(ქ. სტალინირი)



თეთრები იწყებენ და იგებენ

## პ ა ს უ ხ ე ბ ი

### 1. ჟურნალ „პიონერის“ № 5-ში მოთავსებულ კროსვორდზე

**ვერტიკალურად:**

1. კალორია, 2. ამფიბია, 3. ოკა, 4. პა, 5. ლირა, 6. აი, 7. ტაო, 9. იაკი, 10. ინდი, 12. სვია, 13. მერი, 14. ალიასკა, 15. დუნიადა, 16. არია, 18. ანძა, 19. მარატი, 20. სუ, 24. ის, 25. ირტიში, 26. კი, 28. ზოია, 29. ფა, 30. კალე, 32. რკო, 33. ზარი, 34. ლემა, 36. საბო, 37. მილი, 38. ნეი, 40. იავა, 41. მზე, 43. ენა.

**ჰორიზონტალურად:**

4. პალმა, 8. დისკვალიფიკაცია, 11. ორი, 12. სკა, 13. მარაბდა, 17. ოდა, 19. მოსკოვი, 21. იელი, 22. იური, 23. ინგლისი, 27. რიაზანი, 30. კირი, 31. ბრაზილია, 35. იასამანი, 39. ეტლი, 42. სუიტა, 44. ენისეი, 45. ჰიმალაი, 46. იაპონია, 47. სატირა.

### 2. ჟურნ. „პიონერის“ № 5-ში მოთავსებულ თავსატეხზე: „როგორ დაამზადა რობინზონმა მაგიდა“

ნახაზზე შტრიხით აღნიშნულია ფიცრის უვარგისი ადგილები, რომლებიც ამოსჭრა და გადააგდო რობინზონმა. თეთრი ადგილები—მაგიდის ზედა ნაწილისათვის გამოსადეგი ნაჭრებია.



თუ სუფთა ქაღალდზე გადავიტანთ ამ ნახაზს და გამოვჭრით ისე, როგორც ნაჩვენებია, დავინახავთ, რომ ეს ორი ნაჭერი ზუსტად ჩაჯდება ერთიმეორეში და მივიღებთ კვადრატს მაგიდისათვის, როგორც მიიღო რობინზონმა.


ფასი 2 მან.